

დროშა

№ 5 მაისი 1956

ქართული
საბჭოთაო

619 /
1956/2





თბილისის პიონერთა სასახლეს 15 წელი შეუსრულდა.
ფოტოზე: მოსწავლეთა კარნავალი თბილისის პიონერთა სასახლეში.
ფოტო ოთ. თურქიასი.

გარეკანის პირველ გვერდზე: მაისი ქუთაისში.
ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა.

მეოთხე გვერდზე: პამირზე ასვლა.
ფერადი ფოტო ბ. კრეპსისა.

დროშა № 5 (58) მაისი 1956 წ.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური
სალიგნაზრო-სამხანაზრო ჟურნალი
გამოცემის V წელი.

ლენინის ძეგლი თბილისში

თბილისის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავი.

კომუნისტური პარტიისადმი, ლენინის დიადი საქმისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მკაფიო და ამაღლებელი გამოხატულება იყო 21 აპრილს გამართული თბილისის მშრომელთა მიტინგი, რომელიც ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნას მიეძღვნა.

ლენინის სახელობის მოედანზე შეიკრება ათასობით მშრომელი. ტრიბუნაზე არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, ქალაქის საწარმოების მოწინავე მუშები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

მიტინგი გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. კ. მალრაცემ.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქ. კ. პ. ც. კ-ის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მუჟაჟანაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ ქალაქის მშრომელთა წარმომადგენელნი.

...ძეგლს ნელა მოეხსნა თეთრი საბურველი. შეკრებილთა თვალწინ წარმოდგა ვ. ი. ლენინის დიდებული ფიგურა, რომელიც დადგმულია მაღალ კვარცხლბეკზე. ლენინი გამოსახულია იმ მომენტში, როცა იგი სიტყვას ამბობს, წინ ხელგაწვდილი. შვიდნახევარი მეტრი სიმაღლის სკულპტურა დადგმულია ლამაზი ყავისფერ-წითელი გრანიტის თერთმეტნახევარი მეტრი სიმაღლის კვარცხლბეკზე. კვარცხლბეკი ეყრდნობა გრანიტის საფეხურებიან საფუძველს. ძეგლის გარშემო იატაკი მოფენილია კვადრატული ფილებით.

სკულპტურული ფიგურის კომპოზიცია გამოხატავს კომუნისტებისა-კენ წინსვლის იდეას, გადმოგვცემს ბელადის სიდიადეს, მის დაუცხრომელ ენერგიასა და შეუღრეკელ ნებას.

ლენინის პროექტის ავტორია საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი მოქანდაკე ვ. თოფურიძე.

კვარცხლბეკი აგებულია სტალინური პრემიის ლაურეატის კ. ჩხეიძის, შ. ყავლაშვილის, გ. მელქაძისა და გ. ხეჩუმიანის პროექტით.

მონუმენტმა სახე შეუცვალა ქალაქის ცენტრალურ მოედანს, იგი უფრო მიმზიდველი და ლამაზი გახდა.

ფოტოზე: თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისადმი. ტრიბუნაზეა ამხ. ვ. პ. მუჟაჟანაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა




მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მშენებლობის ახალ მძლავრ აღმავლობას ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოში სახალხო მეურნეობის განვითარების დიდ გაქანებაზე მეტყველებენ ყრილობის ღირებულებების ციფრები.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ამ ციფრების ერთი ნაწილი, რომლებიც გვიჩვენებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქციას 1960 წლისათვის და აგრეთვე მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას მეექვსე ხუთწლეულის ბოლოსათვის.

ფიანფი


ეროვნული ბიზნოსი



ელექტროენერჯის გამომუშავება გადიდეს დაახლოებით 1,8 ჯერ



მარგანცის მადნის ამოღება — 1,5 ჯერ
ქვანახშირის ამოღება — 1,4 ჯერ



თუჩის გამოდნობა — 1,6 ჯერ
ნაგლინის წარმოება — 1,5 ჯერ



ტყავის ფეხსაცმლის წარმოება — 1,4 ჯერ
ბამბის ქსოვილებს წარმოება — 2,2 ჯერ



ყურძნის ღვინის — 1,8 ჯერ



გაშენდეს 15 ათასი ჰექტარი ვენახი
ვაშენდეს 17 ათასი ჰექტარი ხეხილის ბ.ღები
გაშენდეს 6 ათასი ჰექტარი ციტრუსოვანთა ნარგავი

პროგრესი



აზოტოვანი სასუქების წარმოება — 8 ჯერ



მარცვლეულის წარმოება — 1,8 ჯერ



დაწყებულ იქნას გროზნო-თბილისის გაზსადენის მშენებლობა



ცემენტის წარმოება — 3,1 ჯერ



ჩაის ფოთლის წარმოება — 1,8 ჯერ



ხორციის წარმოება — 1,7 ჯერ
რძის წარმოება — 2 ჯერ
მატყლის წარმოება — 1,4 ჯერ



სარწყავი ქსელის მშენებლობა 40 ათას ჰექტარ ფართობზე
ამოხაზრობი ქსელის მშენებლობა 10 ათას ჰექტარ ფართობზე
დამთავრდეს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა



აბრეშუმის პარკის წარმოება — 1,8 ჯერ

ჩვენი კახელები

საგაზელო

კახეთის ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი გაზეთი

როგორც მინდა შენი ბედი და ყისმათი მამცნო, ჩრდილოეთის მინდვრებიდან ჩამოსული კაცო.

საგანგებოდ თუ შემთხვევით ჩაიარე აქეთ? შენი დარდი გადღეუვება, თუ საქვეურო საქმე?

აი, ახლაც მე ოცნებით გხედავ სოფლის გზაზე, ხელგაშლილი, გულგაშლილი შეგფოფინებ ვაჭებს.

ვაჭის მზერამ მოგაწყურა? რა სცოდნია წყურვილს: არ გზორდება სურნელება წყალით სავსე სურის.

გაოცდები როცა გლეხი გეტყვის ასე, დინჯად: — წყალი? არ გვაქვს, საფურავი სჯობდა გავსინჯა...

გაგახარებს კილო მისი, უბრალო და ძმური: — და თუ გზია, გადატეხე ჩვეულებრივი პური...

სუფრა, როგორც ნატვრისთვალი, გაგოშაღეს უმალ, კაცი ცას ეწევა როცა ხედავს სტუმარს.

საქართველო დღევანდელმა გულით, განა ღვინით, და როდესაც დაამთავრეთ მეგობრული ღვინო...

შენ ხმაშლია დაიძახე: — მომეც, ხალხო, ბარი, რომ დავტოვო თქვენს მხარეში ჩემი სახსოვარი.

მეგზის, განა ვერ მივიხვდით, ღვინოც გაქვთ და წყალიც, და მე მაინც მსურს ვემო წმინდა წყაროს თვალი!

ახლაც გხედავ მე ოცნებით და შენი ხმა მესმის: — აგერ, ძმებო, მიმოვინა ნაკადულის ფესვი!

გამორბიან კახელები გახლებით, დახეთ: წყარო, ჩვეულებრივი შეილი ოჯახს, შექმნა კახეთს.

...ასი წლისა გახდა წყარო, ვით ამბავი ეხე. მაგრამ დღესაც დაუცხრომლად მიწვრილდება ველზე.

კახეთის გზას იგი ახლაც მგზავრულივით შვენის. და, ძმობო, მის ჩურჩულში სიცოცხლე შენი!

ნავსი გახსენება

იყო ზაფხულის დღე ნათელი, გადასარევი — არსად დრუბლები, არსად ნისლები! გულეები რეკდნენ მიმიდნ, როგორც მწუხრის ზარები, და დიდუბისკენ მისცურავდა კუბო ცისფერი.

ნათა კი არა, იმ კუბოში იწვა აჩრდილი ცაში დაფერფლილი სილამაზისა! გმინავდა მტკვარი, ვით ფრინველი ფრთაში დატყობილი, ენგურის ბორცვა შეერთვოდა ხმას ალწინისას.

დარდს ვიკარვებდით ჩვენ უსიტყვო შეხმარებით, ვინ გააკარვოს ამგვარი დარდი! სდუმდნენ შორიდან ჩამოსული მეზღაურებაც და მხედრულ სალუტს უფრო ჰგავდა დუმილი მათი.

აკლდამისაკენ ხელისგულით მისვენებდა ყველა მთიელი, ყველა ბარელი, და მიუძღოდა პროცესიას ნატას მშვენება — ჩაუქრობელი, უღმობელი, სევდანარევი...

ბ. კატიანიძის მიხედვით

ქვეყანაზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ უყვარდეს ვაჭაფხული — დრო ახალი იმედებისა და ოცნებებისა, დრო ბუნებისა და ადამიანთა მაცოცხლებელი ძალების გამოღვიძებისა.

ჩვენს დიდ სოციალისტურ ქვეყანაში ხალხი ვაჭაფხულს მხიარული, სიცოცხლისთვისაც და მშობური პირველი მაისის დღესასწაულით ხვდება. ამ დღეს ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე გადაჭიმულ სივრცეებზე მრავალი ათასი ქალაქი ერთმანეთს ეხმანება ორკესტრის წერიალა სიმღერებით. საღმრთოაწაული მარშით ფეხაწყობილი მოქალაქენი ისე მოედინებიან, როგორც ვაჭაფხულის წყალდიდობის დროს მჩქეფარე მდინარე.

სადღესასწაულო სამზადისი ჯერ კიდევ ადრე, პირველი მაისის მოახლოებამდე იგრძნობა. კომპოზიტორები ამზადებენ ახალ, სამაისო სიმღერებს. მხატვრების სახელოსნოებსა და ქარხნების კლუბებში იქმნება ფერწერული პანოები, მკაეტები და დიკრამები ქუჩებისა და მოედნების მოსართავად. ხალხმრავალი დემონსტრაციების მონაწილეთათვის. მხოლოდ მხატვრულ ტილოებს კი არა, ბულგარებისა და პარკების სივრცეებსაც ახალი ხეივანებით და ყვავილნარებით აცოცხლებენ მებაღეები. ქარავან ვაჭაფხულის სურათს... რვავე ახალ ხერგებს, რომლებიც ქალაქის მახლობელი ტყეებიდან და საგანგებო სანერგებიდან მოუტანიათ.

ჩვენი მრავალმილიონიანი ქვეყნის შვილებს ჩვეულებრივად ექცათ პირველი მაისისათვის საჩუქრად მიუძღვნან სამშობლოს რაღაც კარგი, ის, რაც მათ ახალგაზრდულ მისწრაფებას, ნიჭსა და ენერჯიას შეუქმნია. თავის ღირსებისა და შემოქმედებითი ჩანაფიქრის სიღრმით ეს საჩუქრები მართლაც რომ ხალხის გოლიათური ძლიერების შესაფერია. თუ ეს საჩუქარი კულტურული მეურნეობისათვის დაპყრობილი ყამირი მიწებია — იგი მილიონი ჰექტარებით უნდა გაიზომოს, თუ ღითონი და ნახშირია — რკინიგზის მრავალი ათასკული შემადგენლობით უნდა დაითვალოს.

ყოველწლიურად მატულობს საბჭოთა ხალხის შრომითი და შემოქმედებითი ღონისძიებანი. 1955 წელს აშუშავდა 800-ზე მეტი მხსილი სახელმწიფო სამრეწველო წარმოება. ქვეყანას საწარმოო დენი მისცეს კახოვკის, გორკის, ხარვის ჰიდროელექტროსადგურებმა. აშუშავდა კუბისშევის სადგურის პირველი ავრევატი.

ამ სადგურების აშუშავებამ სათავე დაუდო ვრცელი რაიონების გეოგრაფიის შეცვლას. უმაღლეს სასწავლებლებში 1954 წელთან შედარებით 135 ათასი მეტი სტუდენტი სწავლობდა. ერთი წლის ვანმავლობაში აშენდა საცხოვრებელი ბინები 35 მილიონი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

ახლა წინ გავიხედოთ! 1956 წელს მხოლოდ მოსკოვი მიიღებს იმდენ საცხოვრებელ ფართობს, რამდენიც მთელ მეოთხე ხუთწლეულში აშენდა. ახალი სახლები აშენდება კიევსა და სვერდლოვსკში, თბილისსა და ვოლოკლამში, ბაქოსა და ტაშკენტში, კიშინიოვსა და სტალინგრადში... მეექვსე ხუთწლეულში ქალაქებსა, მუშათა სახლებსა და სოფლებში ორჯერ მეტი საცხოვრებელი სახლები აშენდება, ვიდრე მთლიანად წარსულ ხუთწლეულში.

საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ იოცნებონ და სინამდვილედ აქციონ თავისი ნაოცნებარი. ჩვენ გვინდა დაგამზადოთ წინანდელზე მეტი პური და ხორბალი, რძე და ერბო, წიგნები და ტანსაცმელი, კინოფილმები და ქსოვრები, ავტომანქანები და ქალაქი, მაკიფრები და ვებსაცმელი, ტელევიზორები... ყველაფერი, რაც ჩვენ ჯერ კიდევ გვაკლია, რაც ჩვენს ცხოვრებას უფრო მოწყობილს და სასიამოვნოს გახდის.

1956 წლის ვაჭაფხული მეექვსე ხუთწლეულის პირველი ვაჭაფხულია. ამ ვაჭაფხულის წინადადებებში შესდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. როგორც მძლავრმა სინათლის ჩქერმა ისე გააშუქა მან საბჭოთა საზოგადოების განვითარების პერსპექტივები. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, გამობატეს თავისი ურყევი მისწრაფება მეექვსე ხუთწლეულის გეგმის შესრულებისადმი. მშრომელთა სამაისო დემონსტრაციებმა მრავალი ახალი ცნობით გაგვახარეს. ზოგი ახალი ცნობა საქმეს გაუჩინეს ჩვენს გეოგრაფებს — ჩვენი ქვეყნის რუკაზე საჭირო გახდება არა ბუნების, არამედ ადამიანების მიერ შექმნილი ახალი ზღვებისა და არხების აღნიშვნა.

ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მომავალი ზღვა 180 მილიარდ კუბომეტრ წყალს დაიტევს და უფრო დიდი იქნება, ვიდრე ვოლგის ყველა წყალსაცავებში

დაგროვილი წყლის უზარმაზარი მასა. ასეთი მოცულობის ხელოვნური წყალსაცავი ჯერ მსოფლიო ჰიდრომშენლობას არ ახსოვს.

პარტიის XX ყრილობის დღეებში საბჭოთა ადამიანებმა თითქოს მთების მწვერვალებიდან გადახედეს თავის ქვეყანას, რომელიც ვ. ი. ლენინის ანდერძს ანხორციელებს. ჯერ ისევ გრევისა და შიშოლობის წლებში, იმ დროს, როცა 14 ინტერვენტმა ქვეყანამ ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას თავს ომი მოახვია, ლენინმა იცოდა, რომ ხალხის ენერჯია სძლედა ყოველგვარ უბედურებას. დროთა ბურუსში იგი ჩვენი დიდი და თავისუფალი ქვეყნის ბრწყინვალე მომავალს სჭერტბდა.

ღრმა, მეცნიერულ წინასწარხედვაზე დამყარებული ლენინის ოცნება სინამდვილედ იქცა. ხალხის თავდადებულ შედეგად წარმოების საშუალებათა წარმოება 60-ზე მეტჯერ გაიზარდა, ხოლო მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოება 160-ჯერ მეტია, ვიდრე 1913 წელს. ასევე 1913 წლის რუსეთთან შედარებით საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურები 86-ჯერ მეტ ენერჯიას იძლევიან.

ციფრები დამაჯერებელი და მეტყველებელი მხოლოდ მაშინ ხდებიან, თუ მათი საშუალებით იზომება თითო სინამდვილესა და უზრალო ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები.

მწერალ ა. კუბრინს აქვს ერთი პატარა მოთხრობა „მოგზაურები“. მოთხრობის გმირები უსიხარულო ცხოვრებით გაწამებული მამა-შვილი, ხელში იღებენ რუსეთის რუკას და საზაფხულო მოგზაურობაზე ოცნებობენ. ისინი სამოგზაუროდ აუცილებელი ნივთების სიასაც კი ადგენენ... ასე გრძელდება წლიდან წლამდე, თუქცა მამა-შვილმა კარგად იცის, რომ ისინი არსადაც არ წაუფანდნენ ოცნებებს განხორციელება არ უწერია. ეს ღანტასტიკური მოგზაურობა წარმოადგენს ერთადერთ დიდსა და წმინდა სიხარულს მათს მოქანცულ, მოსაწყენ და გაძალღებულ ცხოვრებაში. დიას, ამგვარად ცხოვრობდნენ ოდნელაც რუსეთის ვრცელ იმპერიაში. რა საოცრად, შორეულად ეჩვენებათ თავის წინაპართა ეს უმწეო არსებობა საბჭოთა ადამიანებს! მათ ხომ ძალზე გაბედული ოცნებების განხორციელებაც კი შესძლებს. მათ გადალახეს ძალზე ძნელი, მაგრამ მიმზიდველი მარშრუტები შუა აზიის გადაშფავარი უდაბნოებიდან ჩრდილო პოლუსსა და ანტარქტიკამდე. ისინი გზას მიიკვლევდნენ მთებში, ტიანსასა და ტუნდრაში, ადამიანთა ექთილდობისადვის სხნიან ბუნების ყველა საიდუმლოს, დაუფულენ ატომის ენერჯიას. მათ საკუთარ ადამიანურ ძალაში დარწმუნებულებმა, ყოველგვარი გაკვირვებას გარეშე წაიკითხეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოქვეყნებული ცნობა, რომ დაწესებულია პრემიები მათთვის, ვინც პლანეტათმშობის მიმოსვლის შესაძლებლობის შესახებ საუკეთესო ნაწარმოებს შექმნის.

საბჭოთა ადამიანები თავისი შრომით ალამაზებენ დედამიწას, თან შორეულ სივრცეებს მისჩერებიან, რომ, მათაკოცხის თქმისა არ იყოს, ჩვენი პლანეტა ხალისიანად და ბედნიერად აქციონ. ბევრი კარგი რამ შექმნა საბჭოთა ხალხმა დედამიწაზე და კიდევ უკეთესს მიაღწევს. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როცა ადამიანისათვის მიუღწეველი აღარ არსებობს.

ამ ვაჭაფხულის მზიან დღეებში უნებურად გახსენდება გასული წლის პატარა საგაზეთო შენიშვნა. ამ შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კვლევის სადგურ „ჩრდილო პოლუსში“ საბჭოთა მსახიობებმა კონცერტი მოაწყვეს.

პოლუსის რაიონში მცურავ ყინულზე ტკბილად აქედრდა დიდი თეატრის მსახიობის ვერა დულოვას ქნარი.

რამდენიმე წლის წინათ ამას, ალბათ, განუხორციელებელ ფანტაზიად მიიჩნევდნენ. ახლა კი უკვე გაწეობი გეგმავდნენ ანტარქტიკის ყინულოვან სივრცეებზე დასახლებული კოლექტივის შრომითი და მეცნიერული კვლევის ამბებს, ამ დასახლებას „მშვიდობა“ ეწოდება.

დაიდ მაისის მზიან დღეს საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქის და სოფლის თავზე დაპქრის დიდებული სიტყვა მშვიდობა ახალი ძალით ქუხდა იგი საგაზეთული დემონსტრაციების მოზღვაების დროს. ამ სიტყვისთვის მიჯნები და სასაზღვრო საგუშაგოები არ არსებობს. მშვიდობა — ხალხთა ძალის და ნების გამოხატულებაა. მძლავრი სამშვიდობო მოწოდება ახალი ძალით გაისმის ბეკინშიც, პრალშიც, პარიზშიც, დელიშიც... ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანაში. ასე ხდება კაცობრიობა თავის ახალ ვაჭაფხულს. მშვიდობა გაიმარჯვებს, ვაიმარჯვებს სიცოცხლედ!

ი. გუბაძე

ბევრდროს სიტყვა კომუნისტურ პარტიას უხმარებდა მშრომელთა კომუნისტური სოციალიზმის, ხალხთა ურდოვანი მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სოციალიზმის აღზრდაში, მათს დაარსებაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი ამოცანების შესასრულებლად.

კომუნისტური მშენებლობის დიდი საქმეში საბჭოთა პრესის თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია. პრესა აქტიურად უჭერს მხარს ყოველივე ახალს, მოწინავეს, პრობლემატურს და ნერგავს წარმოებაში საბჭოთა მეცნიერებისა და პრაქტიკის მოწინავე გამოცდილების მიღწევებს.

პრესა საუკეთესო საშუალებაა კრიტიკისა და თვითკრიტიკის განხორციელების. კომუნისტური პარტია პრესის საშუალებით ააშკარავებს ჩვენს ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, სახავეს მათი აღმოფხვრის გზებს.

საბჭოთა ბევრდროს სიტყვა თანამედროველად იბრძვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, ნიღაბს და იმის გამჩაღებლებს ყაზბეგის პეტიციის ხელშეკრების კოლონიური ბოლიტიკის ახალ ფორმებს.

კომუნისტური პარტია მუდმივად ზრუნავს საბჭოთა პრესის განვითარებაზე და წარმატებას მის მთელ მოღვაწეობას. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იმ დიდი ზრუნვისა, რასაც პარტია იჩენს ხალხის სულიერი ცხოვრების შემდგომი აყვავებისათვის, მშრომელთა ფართო მასების განათლებისა და პოლიტიკური აღზრდისათვის.

გამარჯვებულ სოციალიზმის ქვეყანაში პრესის ნამდვილი თავისუფლებაა. პრესა ჩვენში ხალხის საკუთრებაა და მის სახსარსავე იღვას. სიმართლემ და პრინციპულობამ, მაღალი დეურობამ, მტკიცე კავშირმა მშრომელებთან, საბჭოთა პრესა ნამდვილ ხალხურ ბევრდროს სიტყვად გახადა.

საბჭოთა პრესა მძლავრი საშუალებაა იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მისი საშუალებით კომუნისტური პარტია შეუძლებელ ბრძოლას აწარმოებს იდეოლოგიურ შეცდომათა და დამახინჯებათა წინააღმდეგ. საბჭოთა პრესის დამოუკიდებლობა შეემატა ხალხთა ფართო მასების იდეური პარტიის თვითიღაპრით, დამაჯერებლად განმარტავს მის ბრძოლს პოლიტიკას.

ახლა საბჭოთა პრესის ყურადღების ცენტრშია ბრძოლა იმ გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც ჩვენს ხალხს დაუსახა პარტიის XX ყროლობამ. გაზეთებმა და ჟურნალებმა გაშალეს მუშაობა ახალი ხუთწლიური ღრმა პრობლემატისათვის. გაზეთები, ჟურნალები, რადიო-მუსიკებისა და თეატრის მასალებით განუშარტავენ მასებს მეექვსე ხუთწლიური თვითიღაპრის მნიშვნელობას, მკიდრად უხვამორბენ ამ პრობლემატურ მუშაობას იდეოლოგიურ ცხოვრებას, საფრთხის, კოლონიზაციის თუ დაწესებულების წინაშე დაქნებულ კონკრეტულ ამოცანებს.

საბჭოთა პრესის წინაშე დგას გადაუდებელი და პასუხისმგებელი ამოცანა — ნაცადი და ახალი ფორმებით ხელი შეუწყოს კომუნისტური პარტიის XX ყროლობის მიერ გამოთქმული ბრძოლა ისტორიული პროგრამის განხორციელებას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლის პროგრამის ცხოვრებაში გატარებას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმ გაზეთისა და ჟურნალის რედაქცია მუშაობს წარმატებით და უშეგბს შინაარსიან და საინტერესო ნომერს, რომელსაც თავის გარემოში შემოკრებილი ჰყავს ფართო აქტივი. ამიტომ გაზეთებისა და ჟურნალების მუდმივ მოვალეობას ის შეადგენს, რომ სისტემატურად იზრუნონ აქტივის მიზიდვაზე, მათთან ყოველიღიური კავშირისა და მუშაობის გაუმჯობესებაზე.

კომუნისტური პარტია, ამაღლებს რა ჩვენი პრესის ღონეს, სულ უფრო სრულყოფს ამ მძლავრ იდეურ იარაღს. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა პრესა მომავალშიც იქნება კომუნისტური განვითარებისათვის დაუღალავი მეტროლი.

ბ. სომერიკი

მივლინების ბარათი მომცეს და საქართველოს სამხედრო გზით დარიალისკენ გავემგზავრე.

სხვადასხვა ეპოქის პოეტები, მხატვრები, მოგზაურები განცვიფრებულნი აღტაცებას გამოსთქვამდნენ იმდინიანების განუმეორებელი და მკაცრ სილამაზეზე, რომლებიც კავკასიონის მთაგორებზე იდნენ მოსჩქეველად და რომელსაც ვეებერთელა კლდეების ლოდები გაუპო. ყველაზე უკეთ და გულთბილად თერგზე მიიწვ ილია ჭავჭავაძემ თქვა თავის „მგზავრის წერილებში“. გავონდებათ?

„დალოცა ღმერთმა ისევე თავზედ ხელაღებული, გივი, გადარული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შვი კლდის გულიდან გადმომსკდარი მოდის და მოზღვის და აბღვლებს თავის გარემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხული, გამალებული ბრძოლა, დრტინვა და გაიგავალი. თერგი სახეა ადამიანის ვალვიძებულის ცხოვრების... ნეტავი შენ, თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ.“

მუდმივი ენო ახლაც დიდხანს იმეორებს ქვის ლოდებთან წყლის გაავთრებულ ბრძოლის ხმას. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ თერგის დაუდგომელ სასიათსა და დარიალის მთელ ხეობას სულ სხვა, გაცილებით უფრო საინტერესო ბედი მოელოს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყროლობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათქვამია: დაიწყოს მშენებლობა მდინარე თერგზე დარიალის ჰიდროელსადგურისა.

ერთ-ერთი ჩემი თანამგზავრი, ინჟინერ-გეოლოგი, მოულოდნელად მახსენებს მაიაკოვსკის მიერ ხუმრობით ნათქვამ შეტყუარს მდინარისადმი.

ყველანი სწრაფად შემოგზარუნდით ყაზბეგისკენ — მყინვარწყურისკენ, როგორადაც ძველთაგანვე ეძახდნენ მას ქართველები.

„ყაზბეგი სრულებითაც არ შეუშლის ხელს ჰიდრომშენებლებს, როგორც სურთ, ისე წარმართონ მათ ბედი როგორც თერგისა ისე დარიალის ხეობისა. მართლა, უმჯობესია ამ საკითხებზე მოელაპარაკეთ ნიკოლოზ გვიჩიძეს. იცნობთ მას? მეიცნობა ჩემი თანამგზავრი.“

რა თქმა უნდა, ვიცნობთ. როგორ არ უნდა იცნობდეს კაცი ამ შესანიშნავ ინჟინერს. უკანასკნელ წლების განმავლობაში ნიკოლოზ გვიჩიძე მუშაობს „ჰიდროენერგოპროექტის“ საკავშირო ინსტიტუტის თბილისის განყოფილებაში. სწორედ ეს ორგანიზაცია განაგრძებს საქართველოს მთებთან მძლავრად მჩქეფარე მდინარეების ბედს.

მთის მდინარეების ფართო ქსელი საქართველოში, მათი ვარდნილობის სიმძლავრე იძლევა ჰიდროელსადგურების მშენებლობის ამოუწურავ შესაძლებლობას. საქართველოს ტერიტორიის ერთ კვადრატულ კილომეტრზე ჰიდრო-რესურსების სიმძლავრის 162 კილოვატი მოდის, მაშინ როცა წყლის ენერჯით ისეთ მდიდარ ქვეყნებში, როგორიც არიან საფრანგეთი, იტალია, შვეიცია, ნორვეგია, სათანადო შეფარდებით მოდის თვითველ კვადრატულ კილომეტრზე ათიდან სამცო კილოვატამდე. ნიკოლოზ გვიჩიძე და მისი კოლეგები „ჰიდროენერგოპროექტიდან“ ხანგრძლივი წლების განმავლობაში მუშაობდნენ მდინარე რიონის პრობლემაზე. მათი პროექტით იქმნება ძალზე დიდი, მეტად საინტერესო კასკადი. რიონის კასკადის მეორე და მესამე ჰიდროელექტროსადგურებია გუმბათის ჰესი, მეოთხე კი — ახალი ჰიდროელსადგური, რომელზედაც ნათქვამია პარტიის XX ყროლობის დირექტივებში. ამ სადგურის სიმძლავრე უდრის საქართველოში დღემდე აშენებულ ყველა ჰიდროელსადგურის ერთად აღებულ სიმძლავრეს.

გადასცეს რა რიონის ბედი ჰიდრომშენებლებს, დამპროექტებლები მიაღწენ თერგს. მათ უკვე ყველაფერი განსაზღვრული ჰქონდათ. გვიჩიძე მოგვითხრობს:

— თერგის გასაოცარი ჩქარი მდინარება, რომელიც ყოველთვის ანციფრება მოგზაურებს, გამოწვეულია მდინარის კიცაბოსებური დაქანებით. სათავეში თერგის-გარდა ყოველ კილომეტრზე ათი მეტრით მატულობს. ეს მდინარე მეტად ძლიერი და წყალმარავალია. მას გზად მრავალი მცირე თუ მოზრდილი მდინარე უერთდება. თერგს უერთდება ყველა მდინარე, რომელიც კავკასიონიდან გამომდინარეობენ ყაზბეგისა და იალბუზის შუა, ნიაღვრები იალბუზის აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფერობებიდან, აგრეთვე, მდინარეები, რომლებიც სათავეს იღებენ ყაზბეგის აღმოსავლეთით.

— ჩვენ გვინდა წყლის მთელი

ეს მასა შევავროვით და დავაგვროვით არა მყინვარ-მოყრით უზარმაზარ ლოდებს, არამედ ჰიდროელსადგურების ფრთებს და გამოვიმუშაოთ ელექტროენერჯის მილიონობით კილოვატისათა.

ამ შემთხვევაში ბუნება ხელს უწყობს ჰიდრომშენებლებს. დარიალის ხეობაში მდინარე ორივე მხრიდან მომწყვედებულია ზღაპრულ კლდეთა შორის. აი, აქ აღიმართება კაშხალი.

— ჩვენი ინსტიტუტის პროექტით, — განაგრძობდა ნ. გვიჩიძე, — კაშხალი იქნება უზარმაზარი მიწყაროლი, რომლის სიმძლვე რამდენიმე მეტრს მიაღწევს, სიგრძით კი ასეული მეტრი იქნება. რამდენიმე მილიონი კუბური მეტრი მიწა თერგს სამუდამოდ გადაუღობავს გზას და შექმნის ყაზბეგის წყალსაცავს. შეიძლება მას ვუწოდოთ „ყაზბეგის ზღვა“. ეს იქნება პირველი ზღვა, ღრუბლების მძლავრ, არწივის ფრენის სიმძლვეზე.

შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივი გზით წვა. წყალსაცავში დაროელი წყალი სათავ-ნაგებობის წყალმიწების საშუალებით გაემართება საწინე გვირაბში. ამიერიდან თერგი იდენს არა მიხვეულ-მოხვეული გზებით, რომელიც მას საუკუნეების განმავლობაში კლდეებს შორის ჰქონდა გაკვლეული, არამედ ბეტონის პირდაპირი მილით. ამრიგად ელექტროენერჯის მისაღებად მშენებლები იყენებენ იმ ძალასაც, რომელსაც მდინარე ჩვეულებრივად ხარჯავს დარიალის ხეობაში მიმოფანტულ მრავალ წინააღმდეგობათა გადასაღებად.

ადამიანის მიერ ნაჩვენებ გზას თერგი დაასრულებს მიწისქვეშა საწინე მილსადენში.

...თერგზე უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა უახლოეს დროის ამოცანად დისახა, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, დღევანდელი დღის ამოცანა გახდა.

სტალინის სახელობის ლენინგრადის მეტალურგიულ ქარხანაში უკვე გასურებული მუშაობა დარიალის მომავალი ჰიდროელსადგურის ჰიდროტურბინების ტიპის შესაქმნელად. დონბასში, კრამატორსკის ქარხანაში მზადდება ახალი მთხრელი აგრეგატი, რომლის კონსტრუქცია „საქჰიდროენერგომშენის“ ინჟინრებს ეკუთვნის. კონსტრუქტორების ვარაუდით ეს თავისებური საგვირაბი კომბანიი დღე-ღამეში გათხრის და მოაპარ-კეთებს ექვს-შეა მეტრ გვირაბს. ეს კი ორჯერ აღემატება დღეს არსებული მექანიზმების წარმადობას.

აქ, დარიალის ხეობაში, ჰიდროსადგურის გვირაბის მთხრელებს მოუხდებათ დიდი დაძაბული შრომა. ამ მშენებლობაზე საქირთა ექვსასი ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები გვირაბის გასაყვანად.

ბუნებამ დარიალის ჰიდროელსადგურის დამპროექტებლებსა და მშენებლებს წინაშე ბევრი რთული ამოცანა დასვა. ამ ამოცანათა შორის ერთ-ერთია მოიძებნოს საიმედო საშუალებანი ზეგების წინააღმდეგ.

თოვლისა და ყინულის ლოდების ზეგები ხშირად მეორდება ხოლმე. და აი გვიჩიძემ მოძებნა მეტად საიმედო საშუალება ზეგების წინააღმდეგ საბრძოლველად. ასე ვთქვათ, გზადაგზა, მთავარი ამოცანის გადაჭრის დროს — უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურის აშენებით ბოლო მოეღება ამ სტიქიურ მოვლენას. ზეგასა და მეწყურის დარიალის ხეობაშიც გზა გადაეღობება.


...აი, ასეთი ახალი ბედი მოუშნადეს ადამიანებმა დარიალის ხეობაში აბობოქრებულ თერგს. ახლა ახალი ძალით აქედრდა გულში ჩამწდომი სიტყვები ილია ჭავჭავაძისა.

— მართლაც დიდებულია თერგი, დიდება შენ, თერგო!

ჰიდროენერგოპროექტის საკავშირო ინსტიტუტის თბილისის განყოფილება. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ) დარიალის ჰესის დამპროექტებელთა ჯგუფში ტ. გიორგობიანი, მ. ტურტეროვა, ნ. ჩიხაძე-შვილი და რ. მარტინოვა ამუშავენენ დარიალჰესის ტექნიკურ პროექტს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.





დაუფრეხარი

კლავიერ თორღა

მ რომოდარვა წლის წინათ, საბურთალოს მინჯვრებზე, სადაც ახლა რესპუბლიკური მარტულა იმართება ხოლმე, თბილისელებს საოცარი სანახაობა ვადაეშალათ თვალწინ: კაცი არაჩვეულებრივი „კალიით“, ბამბუკის „ფრინველით“ ასცდა მიწას, ავიდა მაღლა-მაღლა, გორაკებზე მაღლა, ჰაერში რამდენიმე წრე შემოხაზა, ნელ-ნელა დაეშვა ძირს და გაშლილ მინდორზე დაფრინდა. მაშინ, თითქმის სიშხრიდან გამოერკვაო, მაყურებელთა ჯგუფი იმ „ზეკაცს“ მასცვივდა და „ვაშას“ ძახილით ხელში აიტაცა. არაფერი ამის მსგავსი არ ენახა წინათ არც ერთ დამსწრეს, მოსმენით კი ვის არ მოეხსინა ტკბილმოუბარი ბებიას ზღაპრები მფრინავ ხალხიზე და ღრუბლებში მოცურავე ლამაზ ასულზე...

ვინ არის? სადაურია? როგორ გამოიგონა? ცაში აფრენა რამ გააბედინა?! — კითხულობდნენ მაყურებლები. მათ წინაშე იდგა ჩვეულებრივი ადამიანი, არც ისე ახალგაზრდა, ქერა წვერიანი, ლამაზი, საშუალო ტანისა, ბიჭონახავით მორცხვი, ყველასადმი თავაჯიანი. იდგა თავის ბამბუკის „კალიასთან“ — ამ უცნაურ ფრინველთან და ყველას ხალხით აძლევდა პასუხს.

ეს იყო პირველი ქართველი ავიატორი ბესარიონ საკელის-ძე ქებურია, რომელიც თავისი გამოგონილი და გაკეთებული ბამბუკის პლანერით აფრინდა ჰაერში.

რას იფიქრებდა საველი, რომ მისი მორცხვი, უწყინარი ბიჭუნა შორს გასცდებოდა მშობლიურ სოფელს, ჩხოროწყულთან თავს ამოჰყოფდა პარიზში მდინარე ოჩხომურში მოჭკუტმაალავეს სენის ნაპირას გასეირნებაც მოუწყედა, მშობლიური ეზოს აკაციის ხეივანში მეოცნებებს ბულონის ტყის შრიალიც დაუტკობდა სმენას, რომ მის შვილს საფრანგეთის პრეზიდენტი ხელს ჩამოართმევდა და წარმატებას მიულოცავდა, კარის მეზობელი ბიჭუნების განუყრელი მეგობარი, შემდეგ სახელმწიფოებრივი რუსი და ფრანგი ავიატორ-მფრინავების მეგობარიც გახდებოდა.

სოფლის დაწყებითი და ფოთის ორკლასიანი სასწავლებლის შემდეგ ბესარიონი წარჩინებით ამთავრებს რკინიგზის ტექნიკოსთა სკოლას და მუშაობს ორენბურგ-ტაშკენტის ხაზზე, შემდეგ ბორჯომისა და ყარსის შტოების მშენებლობაზე — უფროს ტექნიკოსად.

ტექნიკის გატაცებული მოტრფილედ, მუდამ ინტერესით ჩაჰკირკიტებს აპარატებს, ხელსაწყოებს, მექანიზმებს. ეცნობა უუკოვსკისა და ციოლკოვსკის შრომებს, ოცნებობს ჰაერში ასაფრენი აპარატის გამოგონებაზე. ინტერესით უთვალთვალავს ამ დარგში რუსი ნოვატორების მოღვაწეობას. მუდმივმა დაუცხრომელმა ძიებამ და შეუპოვარმა შრომამ შედეგი გამოიღო, ბესარიონმა შექმნა საქართველოში პირველი საფრენი პლანერი ბამბუკის მარტივი

აპარატით და ჰაერში აფრენის ცდაც წარმატებით დაავიზრგინა.

ამ დროს მის ყურამდე აღწევს სენსაციური ცნობა ლამაზზე ფრანგი ავიატორის ინჟინერ ლუი ბლერიოს გაფრენის შესახებ, რომელმაც ნახევარ საათში დაფარა ოცდახუთი კილომეტრი ღვერამდე.

გადაწყვეტილება მიღებულია: — რაღაც არ უნდა დაუფუდეს, გაემგზავროს პარიზში, შეხედეს და გაეცნოს ფრანგ მფრინავს, შეისწავლოს მისი აპარატი და დაუფულოს ფრენისნობის ოსტატობას.



მაშინ მეფის რუსეთში არავითარი საფრენისნო სკოლა არ არსებობდა. ქებურია თავისი პირადი დანაშოგებით და ოჯახის დახმარებით მიემგზავრება პარიზს. ბლერიოს პილოტთა სკოლაში შესასვლელდ გამოცდებს წარმატებით აპარებს. იწყება დაძაბული სწავლა და პრაქტიკული მეცადინეობა მისწავლის სკოლის სალონში წინდაწინ უნდა შეეტანა 2.500 ფრანგი, და ამდენივე — სადაზღვევოდ, აპარატის მოსალოდნელი დაზიანების ასანახად ურებლად. თუ დაზიანება ამ თანხას გადააჭარბებდა, მოსწავლეს დამატებით უნდა გადაეხადა აპარატის აღსადგენად საჭირო თანხა, რაც უგოჯკერ რამდენიმე ათას ფრანკს აღემატებოდა.

მომავალი პირველი ქართველი პილოტი მატერიალურ მხარდაჭერას არასიდან მოელოდა. ამით გამოწვეული განსაკუთრებული სიფრთხილით თუ შეუპოვარი მეცადინეობით, მას არასოდეს დაუზიანებია აპარატი.

1910 წელს ქებურია ბრწყინვალედ აპარებს გამოსაშვებ გამოცდებს, ღებულობს ავიატორის დიპლომს. მაშინდელი პარიზის გაზეთები: „ფიგარო“, „ილუსტრაციონ“ და სხვები ბეჭდავენ ინფორმაციებს ავიატორთა ახალი კადრების გამოშვების შესახებ და აღნიშნავენ ქართველი პილოტის

ქებურიას წარმატებებს. სხვა ავიატორებთან ერთად ბლერიოს იგი მიჰყავს საფრანგეთის მაშინდელ პრეზიდენტ კლემან არმან ფალიურთან.

— მოხარული ვარ, — მაგრად ართმევს ხელს პრეზიდენტი ქებურიას, — მამაცი და ლამაზი ქართველი ხალხის შვილის წარმატებით, გილოცავთ ავიატორის წოდების მიღებას!

ფრთებშესხმული ქართველი ავიატორი 1910 წლის ავისტოში ბლერიოსაგან შექმნილი ჰაერბალანსით მოეშურება სამშობლოსაკენ. საზღვარგარეთიდან მომავალი, იგი პირველად ჩერდება ვარშავაში.

სწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები უკან რჩება, ბოლოქარ პარიზში; უფრო რთული და ძნელად გადასალახავი სიძნელეები იწყება აქ, მეფის რუსეთის იმპერიის საზღვართან.

შაბათი დღეა, ავისტოს მცხუნვარე დღე. ქებურია ახდენს პირველ გაფრენას რუსეთის ფარგლებში. ხალხით სავსე მოედანი გაფაციცებით ადევნებს

თვალყურს ჰაერში თითქმის გაუჩინარებულ მამაც ქართველს. თხუთმეტოდე წუთის შემდეგ ავიატორი მშვიდობიანად ეშვება ძირს.

ხალხის წრეს არღვევს ბრჭყვიალა მუნდირიანი ახლავანი კაცი. უახლოვდება მფრინავს.

„გამარჯვებას მილოცავს უთოულ“, — ფიქრობს აღელვებული ქებურია და გაუბედავად დგამს ნაზიჯებს მუნდირიანს შესახვედრად.

ეს ვარშავის გენერალ-გუბერნატორი სკალონია, მრისხანე გამოიმეტყველების კაცი.

— თქვენ, ბატონო ქებურია, ჯარიმდებით ხუთასი მანეთით!

— რისთვის, თქვენო კეთილშობილებავ?! — წაილულულა შეცბუნებულმა მფრინავმა.

— ჯერ ერთი, მე თქვენი ბრწყინვალეობა ვარ და არა კეთილშობილება...

„თორემ, ძაან კი გიცნობდი, კეთილშობილება ხარ თუ ბრწყინვალეობა.“ — გაუღვია მფრინავს გულში და ხმას აუწია:

— რისთვის ვჯარიმდები, თქვენო ბრწყინვალეობავ?! —

— ქალაქის თავზე ფრენისათვის. მოტორი რომ გაგჩერებოდათ, ხალხს გასრესდით!

ვიღაც ქალბატონმა მისწი-მოსწია ხალხის ჯგუფი, მივიდა სკალონთან და დინჯად, უფლებამოსილად, ლორნეტის ხელის ოდნავ აწევით უთხრა:

— გთხოვთ პატიებას, გენერალო! ჰაერში გამარჯვებულთ არ ხსამართლებენ.

„ცოლია, გუბერნატორის ცოლი“, — გაისმა ჩურჩული.

— მიბატებია. ჰაერში აღარ დაგინახო! — ასწია ხელი სკალონმა და მოხდენილად შებრუნდა.

ასეთი იყო მფრინავის დებიუტი იმპერიის საზღვართან.

ქებურია სტოვებს ვარშავას და მიემგზავრება ჯერ პეტერბურგს, შემდეგ — მოსკოვს. იქ აწყობს გაფრენებს. ეს ის დროა, როცა რუს მ. ნ. ეფიშოვს უკვე ჰაოფლიო სახელი აქვს მოხვეჭილი თავისი ბრწყინვალე გაფრენებით ოდესაში, ხოლო ქებურიას უახლოეს მეგობრებს ს. ი. უტოჩინსა და ბ. ი. როსინსკის — მოსკოვში. ასობროცდაათათასიანი მაყურებელი პეტერბურგის საავიაციო კვირეულს დღეებში მოწყობილი ბრწყინვალე გაფრენების მოწმეა.


ჰაერის ამ ახალ დამპყრობთა გვერდით ქართველი მამაცი მფრინავი თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს, აწ უკვე გაცვეთილი ბლერიოს აპარატით.

აქ იწყება მეფის რუსეთში ფრთებშეკვეცილი მფრინავის ტრაგედია.

ცოდნით, გამოცდილებით, რკინისებური ნებისყოფით ვერაფერს მიაღწევ, თუ კი არ არის ფრენისათვის აუცილებელი მოტორი, რომლის შექმნას სულ ცოტა ექვსი ათასი მანეთი სჭირდება. ვინ გაიღებს ამ თანხას?

მოსკოვსა და პეტერბურგში გაფრენების შემდეგ ქებურია ჩადის ნიუნიწოვგოროდში და პარიზელ თანაშოწაველ რუს ავიატორ ვასილევთან ერთად აწყობს გაფრენებს. იმდროინდელი პრესა ხმაურობს ქებურიას თავგანწირული გაფრენების შესახებ. არა ერთხელ ყოფილა ბესარიონი სიკვდილის პირას, არა ერთხელ შებრძოლებია სტიქიონს ჰაერში. ნიუნიწოვგოროდში ფრენის დროს მას პირველად უმტყუნა მოტორმა. იმდროინდელი გაზეთი „ვესტნიკ ვოზდუხნო-პლავატელი“ იტყობინებოდა, რომ ავიატორი ქებურია ბლერიოს მონოპლანის საცდელი ფრენის დროს მნიშვნელოვანი სიმაღლიდან ჩამოვარდა და

მფრინავები (მარჯვნიდან მარცხნივ): ბლერიო, ქებურია, ლებლანი და პიოტროვსკი თვითმფრინავთან აეროდრომზე პარიზში.



დაიქუეა, მონოპლანი გადაბრუნდა და ძლიერ და-
წინდა.

მფრინავის პირად არქივში ფაქიზად ინახება ამის
შესახებ ცოლისადმი თბილისში გამოგზავნილი ღია
პარათა, რომლის ერთ მხარეზე პარაში გადადებული
სურათია გამოსახული: — ბლერიო, ქებურია,
ლეზიანი და პოტროვსკი თვითმფრინავთან აერო-
დრომიზე. მეორე გვერდზე იგი ცოლს სწერს: „გაზე-
თები იტყობინებდნენ, თითქმის მე ნიუნინოვო-
როდში პაროპლანით ჩამოვარდი და დავშავდი.
ყველაფერი ეს მონაპოვია. მე მხოლოდ გადატრი-
ალი მიწაზე დაფრენის დროს. ცოცხალი და ჯან-
მრთელი ვარ...“

ამ კაცის მთელ მოღვაწეობას წითელი ზოლივით
გასდევს არაჩვეულებრივი ოპტიმიზმი, მხნეობა და
გამბედაობა. ამ თვისებებით განუცვიფრებია მას
სარატოვი და ბაქო, ახტრანხი და ბათუმი, სოხუმი
და თბილისი, ქუთაისი და ახალ-სენაკი, ფოთი და
სმირედი...

სამახსოვროა სარატოვში მისი გაფრენები.
მონოპლანზე დგას ოცდახუთმალის სუსტი
ძრავი „ანჰანი“. უმცირეს ქარშიც ძნელია იმით
ფრენა, რადგან წინსვლით ძრავის მხოლოდ მი-
ნიმუში გაჩნია. ქარის სიჩქარე წამში ოთხ მეტრს
აღემატება. ქებურიას სთხოვენ გადადოს გაფრენა,
ასეთი გამბედაობა დანაშაულია. მაგრამ მას აპარა-
ტის გამოცდა სურს. იცვამს ლურჯ კომბინიონს,
ყურბიან რეზინის ქუდს, ჯდება მონოპლანში და
ადის ახი მეტრის სიმაღლეზე. ქარი ძლიერდება.
მისი სიჩქარე ზღა ექვს მეტრს აჭარბებს. ძრავი
უძლიერია შედარბოლოს ქარს. აპარატი ძირს უშ-
ვებს კუდს და ძალია აღარა აქვს მისი აწევსათვის.
ირღვევა ნორმალური სივრთითი მდგომარეობა.
ძრავი მაღლაც ვერ სწევს მონოპლანს. სადაცაა
მოედება შენობების სახურავს. მფრინავი არ იბნე-
ვა. დაკარგულ წონასწორობას პირდაპირი ხაზის შე-



პილოტ-ავიატორის დიპლომი, რომელიც საფრანგე-
თის აეროკლუბმა მისცა მფრინავ ბ. ქებურიას.

ნარჩუნებით აღადგენს. მონოპლანი მიემართება
იპოდრომისაკენ. დაშვება უფრებელია.
გუბერნიის უფროსი გრავი ტატიშჩივი ამ სანა-
ხაობას თავისი სახლის აივანიდან უთვალთვალებდა,
პოლიცემისტერი დიკონოვი გულცივად შესცქერო-
და ამ სასწაულმოქმედ მფრინავს.

მმართველი წრეები, ქალაქის თავები, მეფის მსა-
ხურის შამადენე მამაც მფრინავს არა მარტო
გულცივობით, არამედ ჭორბობით და დაცინვითაც.

მაგრამ იყო ძალი, რომელიც მამაც ქართველ
მფრინავს ფრთებს ასხამდა, ამხნევედა. ეს იყო
მრავალთანიანი მასურბების — ხალხის ტაში და
ოვაცია, ხალხის თანაგრძობა.

იყო კიდევ ძალი, რომელიც მას ფრთებს ასხამ-
და: — საკუთარი თავის რწმენა, ცოდნა და გამოც-
დილება.

ქებურიამ მოვლო რუსეთის მრავალი ქალაქი და
სტიქიასთან მრავალჯერ შენაბრბოლები, თავისი მონ-
ოპლანით დაუბრუნდა მშობლიურ საქართველოს.
მფრინავს მინდორი და ცა უხმობს, ამჯერად,
მშობლიური მინდორი და ცა.

მაგრამ ვნახით, რა „მშობლიური“ დახვედრა
მოუწყო მას გრავი ვორონცოვ-დაშოვკის დროინ-
დელმა თბილისმა.

— იპოდრომს ვერ მოგვცით, ცხენები დაფრთხე-
ბა, ღობე დაიმტვრევა!

— ლეკციების ნებას ვერ დაგართავთ, ხომ მოგეხ-
სენებათ, რა არეული დროა!

მეფის ნაცვალს მიმართა. მისგან ასეთი ამბავი
გაიგო:

— გრაფი საერთოდ წინააღმდეგია თქვენი ფრე-
ნისა!

მაგრამ ფრენაზე ხელი მაინც არ აუღია. იგი ქი-
რადობდა მიწას და ოდროჩლოდო „აეროდრომიზე“
აწყობდა გაფრენას, რასაც თან ახლდა ავარიები.
იგი ჩავარდნილა მტკვარში და უცნაურად გადარ-
ჩენილა. დიდუბეში იძულებით დაშვებულა, აპარატი
ხის კენწეროებზე გარჩენილა, თვითონ კი ძირს
გადმოშტარა. ბათუმში ფრენისას ნაპირიდან ერთი

კილომეტრის დაშორებით ზღვაში ჩაშვებულა და
მაშველი ნაგებით უხსნიათ. ყველა ამ მარცხის
მიზეზი იყო პარათან მრავალჯერ შენაბრბოლები,
ისედაც სუსტი, უკვე გაცვივითი მოტორი „ანჰა-
ნი“ და დეფორმირებული აპარატი.

ხელისუფლება, რომელიც იპოდრომს არ იმტე-
ბდა, ახალი მოტორის შესაქმნად, ახა, რა თანხას
გაიმეტებდა. მეფისნაცვალმა ის მოწყალეობა გაიღო,
რომ ნება დართო მფრინავს მოტორის შესაქმნი
თანხა ხალხში შეეგროვებინა. მფრინავი ამ
გზით არ წავიდა. მან თავისი უკანასკნელი სახს-
რებით, თვითვე იწყო ახალი საკუთარი კონსტრუქ-
ციის მონოპლანის აშენება და მალე მიზანსაც მიაღ-
წია. ეს აპარატი ყველა მამის არსებულისგან განს-
ხვავდებოდა სილამაზით, სიმსუბუქით, სისწრაფით.

ახლა ამ აპარატის გამოცდა იყო საქირო, გამო-
საცდელად კი სადღოლო მინდორსაც არ უთმობდნენ.
მამის ვინმე გურგენოვისაგან იქირავა მიწის ფარ-
თობი.

უთვალავი ხალხი მოაწყდა სახელდახელო „აერო-
დრომი“. ამ მოწყო ახალი მონოპლანის გამოცდა.

შუა მინდორში დგას დიდი, უცნაური ფრინველი.
კარშემო დაფუსფუსებენ ავიატორი და მისი თანა-
შემწე.

ამუშავდა პილოტი. მფრინავი ჯდება აპარატ-
თან. ისმის ორმოცდაათცხენისძალიანი „გნომის“
სისტემის მოტორის გუგუნე. მონოპლანი მისრია-
ლებს ჯერ მიწაზე. ადის სულ მაღლა და მაღლა,
ექვსას მეტრზე წრეს აკეთებს, კვლავ მაღლა იჭერს
კურსს. მასურბებლები დღლავენ.

— მამა, მამილო, ჩემი მამიკო!

ეს — შვილები შედურბულბებენ ფრთებშეს-
მულ მამას.

ან ვისი მღელვარება შეედრება ერთი ლამაზი
მანდილოსანის მღელვარებას, თითების მტვრევით
რომ შესცქერის ცას!

ეს — მფრინავის მეუღლეა:

— ვანიშნოთ, რომ ჩამოფრინდეს, კმარა!
მაგრამ მფრინავი ცაში უფლის ნაშალადებს,
მტკვარს, საბურთალოს, ავჯალს და უჩინარდება.
ქარი ველარაფერს აკლებს ახალ, სრულყოფილ
მოტორს.

ოცდაცამეტი წუთის ფრენის შემდეგ იგი კვლავ
მინდორის თავზე გამოჩნდება. მინდორი პატარაა,
წრეს ვეღარ უვლის და შეუფლად ეშვება ძირს.
ხალხის აღტაცება. ოვაციები. მფრინავის ბრწყინ-
ვალე გამარჯვება. აპარატიც გამოცდა ჩააბარა.

იწყება ახალი ხანა გმირი მფრინავის ცხოვრება-
ში. ამ მონოპლანით მან გადასურა მთელი დასავლეთ
საქართველოს საპაერო გზა.

...პირველი მსოფლიო ომი. ქებურია თურქეთის
ფრონტზე, ავიარაზმის ტექნიკური ნაწილის უფრო-
სად. აქ მოხდა ერთი ღირსსახსოვარი ამბავი: რო-
გორც მღელვარე ზღვა გამოირიყავს ნაპირზე ლამაზ
კენჭს, ასე საზღვარზე გამოირიყავს ომს თურქეთ-
ში ძალით გატაცებული აზაშისი საუცხოო, თმა-
სუქუქა, შავფეხლებიანი ბიჭუნა. მშობლები დაკარ-
გვია ომის ორომტრიალში. შვიდი-რვა წლისა იქნე-
ბოდა. ელოზბარი რქმეგია, შვილივით მოუარა ბესა-
რიონმა, აქამა, დაასვენა. დრო რომ იხელთა, მანქა-
ნით ბათუმში ამოიყვანა და თავის ცოლს სოფლის
მიპყვარა (მამის დროებით იქ ჰყავდა ოჯახი).

— ამა, გყავდეს მეოთხე შვილად. დედ-მამა და მ-
კარგია.

— რა უცნაური ხარ, ბესარიონ! დედა, რა კარ-
გია!.. მოდი, შვილო! არა, არ იტირო, სოფიო გე-
ნაცვლობს!..

დღეს უკვე აღარა ჰყავთ სოფიოსა და ბესარიონს
ეს მეოთხე ვაჟი — იგი მეორე მსოფლიო ომში
მისხვერვლა მის შემქმნელ ძმასთან, მეცნიერ მუშაკ
გოგისთან ერთად. სამაგიეროდ, სოფიო აქ, თბილის-
ში ზრდის ელოზბარის შვილს მერვეკლასელ ცისა-
ნას. ორი აქ — ნელი და ლიანა ბესარიონის მამა-
პაპისეულ ხალხში არიან ჩხოროწყუში. დედაც იქ
ჰყავთ, კოლმეურნე. ბაბუა ბესარიონი შინაც ამე-
ცადინებს მათ რუსულ ენაში, ფიციკასა და მათემა-
ტიკაში. გოგისაც დარჩა ერთი ვაჟი — თემური,
იგი თბილისში სწავლობს, მერვე კლასშია.

მაგრამ ჩვენ ცოტა წინ გავუსწარით ამბავს.

დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი. ამას მოჰყვა
რევოლუცია, მალე საქართველოშიც დამყარდა სხ-
ქოთა ხელისუფლება.



ავიატორები ლ. ბლერიო და ბ. ქებურია
(პარიზში).

ბესარიონი — იმ ხანებში უკვე ხანდაზმული,
მაგრამ ძველებურად შეუპოვარი და დაუცხრომელი
— კვლავ ემსახურება საყვარელი ავიაციის საქმეს.
ხან უკრაინაში, ხან ამიერკავკასიაში. 1930 წელს
მას იუბილური უხდია. 1931 წელს დამსახურებული
მფრინავის საპატიო წოდებას ანიჭებენ და პერსო-
ნალურ მედლისა უნიშნავენ. 1945 წელს აჯილდო-
ებენ მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ საავიაციო
საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ხო-
ლო ცოტა უფრო გვიან — ლენინის ორდენით.
მფრინავის საპატიოცემილოდ თბილისის ერთ-ერთ
ქუჩას ქებურიას ქუჩა ეწოდა.

ავიაცია, რომელსაც ბესარიონმა მთელი თავისი
შეგნებული ცხოვრება მოახმარა, სასწაულებრივ
გაიხარდა. ქებურიას კონსტრუქციის მონოპლანი ამ
დიდი ავიაციის ერთ-ერთი წინამორბედი. მისი
მაკეტი ბესარიონს თავისი მამაპაპისეული ოდის შუა
ოთახის ქვეტყევე აქვს დაიდებული, ჩხოროწყუში.

მის ასაკში კაცი თითქმის მშვიდად უნდა წამო-
წვეს მხარეთმცოდნე და მთლიანად მიეცეს მოგონე-
ბებს, ხან ტკიბოს — ზღაბრული გამარჯვებებს
რომანტიკული ბურთის მოცულს, ხან მწარეს —
სიკვდილთან შერკინების საფრთხით ჩამოხურვილს.
თითქმის კმარა მისგან, ცხოვრებას ვაღში არ დარ-
ჩენია. მის მხრებს ხომ ოთხმოცდაექვსი წელი აწევს.
მას არ უცხოვრია მხენელ-მთისველის „მშვიდი“,
ერთფეროვანი ცხოვრებით, თუმცა არც ხენა-თესვას
გაურბოდა. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება —
ბობოქარი წლებია, მუდმივი ძიების, ბრძოლის,
წვის, შეუპოვრობის, მიზანსწრაფვის წლები. ახლაც
შეუწელებელი ინტერესით ეცნობა, სწავლობს ავია-
ციის უკანასკნელ მიღწევებს.

ხან აქ არის თბილისში, უფრო მეტ ხანს — თა-
ვის მშობლიურ ჩხოროწყუში. იგი იქ რასაბჭოს
დეპუტატია, სკოლებშიც მოუშობს — მშობელთა
კომიტეტის წევრია. აქვს მშვენიერი ენო-კარი, უც-
ლის ვენახს, ბაღს. მისი ოდა-სახლის უცნაური სა-
ხურავი და ფასადი თვითმფრინავის უზარმაზარ მა-
კეტს მოგაგონებთ. ეს მან თვითონ გააკეთა. წლო-
ვანებას თითქმის ბევრი არაფერი დაუკლია მისთ-
ვის. მუშაობს ფიზიკურადაც, მხოლოდ შერის პო-
ბის დროს კი გრძნობს, რომ ცოტა მოხუცებულია.
ამიტომ ასეთ საქმეებს არ ანებებენ შინ. მინდორ-
ში ან ვენახში რომ ტრიალებს, ხან რძალი მიეპა-
რება და ფაქიზად მოახურავს მოსახსამს, ხან შვი-
ლიშვილები შემოხვევენ წელზე აღერსიანად ხელს
და შეეხვეწებიან — აგერ, ეს შალი ყელზე შემოი-
კდე!

„მართლა ბებერი გგონივარ ამ ბავშვებს? დამე-
კარგეთ აქედან“, — დაუტატანებს მათ სიყვარუ-
ლით, მაგრამ სათბურს მაინც მოიხურავს.



რამდენიმე დღე ეთიოპიაში

ნიკოლოზ თოლორაძე

და იხმარება, როგორც საუკეთესო საშენი მასალა. ქალაქი ადის-აბება არასდროს არავის არ დაუგვიგმია, ამიტომ სხვა ქალაქებში უკეთესად იზრდება.

ჩვენი თვითმფრინავი მოწყდა ერთ-ერთის დედაქალაქ ას-მარას აეროდრომს და მიმართულა ადის-აბებისაკენ აი. ლო.

ჩვენი თვითმფრინავი ეკუთვნოდა ინგლის-ეთიოპიის საავიაციო კომპანიას, ეკაპაქი მთლიანად ინგლისელებისაგან შესდგებოდა. მომსახურებას გვიწვედა ეთიოპელი ახალგაზრდა. თვითმფრინავში თოთხმეტამდე მგზავრი იყო. მათ შორის ინგლისელი ოფიცრები თავიანთი ცოლებით, ორი თუ სამი არაბი, რამდენიმე ეთიოპელი, ერთი ამერიკელი და ამ სტრუქტურის ავტორი.

როგორც კი მივუახლოვდით ეთიოპიის მთავორიან ადგილებს, თვითმფრინავმა უფრო მაღლა აიწია. ამ ადგილებში თვითმფრინავს მეტად ცუდ პირობებში უხდებოდა ფრენა. მთავორიანი ადგილმდებარეობისა და ცუდი კლიმატური პირობების გამო ხდებოდა პარის სწრაფი მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით. ამიტომ თვითმფრინავი ხან "ვარდება" ძირს, ხან კიდევ დიდი სიჩქარით მიექანება ზემოთ. ჩვენც იგივე ბედი გვეწია. მალე ჩვენმა თვითმფრინავმა დაიწყო აქეთ-იქით ბურთოვით ვარდნა. ჩვენ ვაკვავართხილეს, რომ საჭირო იყო ქაშაყებით ტანის მიმაგრება საგარძელზე. მაგრამ ვიდრე ამის შესახებ ვაგვეფრთხილებდნენ, ბევრს ეს უკვე გაეკეთებია. განსაკუთრებით ცუდად გრძობდნენ თავს ქალები. ჩვენი ამერიკელი თანამგზავრი მოუხეხინარა აღმოჩნდა. იგი დარბოდა აქეთ-იქით და ზედიდან ათვალიერებდა ტერიტორიას. მერე მიუბრუნდებოდა თავის პორტატულ მანქანას და რაღაცას ბეჭდავდა.

ჩვენს ქვეშ უკვე ეთიოპიის ტერიტორია იყო. ეს ქვეყანა თავისი ხალხით, მღვდართან, კლიმატური პირობებით არ ჰგავს დედაქალაქის ზურგზე არც ერთ ქვეყანას. მას ბევრი თვისებებია ახასიათებს. გიდრე მომიხდებოდა ეთიოპიაში მგზავრობა, შევეცადე შეემსწავლა ეს ქვეყანა, მაგრამ სამუშაოროდ, ეთიოპიის შესახებ ძალიან მცირე ლიტერატურა აღმოჩნდა. ისიც, რაც არის და ბეჭდილი, ან მოძველებულია, ან ზერეულია შედგენილი.

ეთიოპია მდებარეობს აფრიკის აღმოსავლეთში და ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. იგი თავის დროზე ფარონების ეგვიპტისაკენ ემუქრებოდა. ამ ორ ქვეყანას შორის ადგილი ჰქონდა ომსაც და მჭიდრო კონტაქტს, სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობასაც. ეგვიპტელებმა კუბური ქვენი, რომელთაგანაც აგებულია ეგვიპტეში ფარაონების პირამიდები, ეთიოპიიდან ჩამოიტანდნენ ნილოსით.

თანამედროვე ეთიოპიას ესაზღვრება სუდანი, ბრიტანეთისა და საფრანგეთის სომალი, კენია და იტალიის სო-



ქალაქ ადის-აბებას ერთი კუთხე.

მალი. ეთიოპიის ტერიტორია შეადგენს დაახლოებით ერთ მილიონ კვ. კილომეტრს, მოსახლეობა კი — 18 მილიონს. გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო ეთიოპიაში ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის კაპიტალის შეჭრა. მაშინ იტალია შეეცადა ეთიოპიის დაპყრობას, მაგრამ მისი ეს ცდა მარცხით დამთავრდა. 1906 წელს ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ გავლენის სფეროებად გაიყვეს ეთიოპია. 1935 წელს ფაშისტური იტალია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ეთიოპიას და დაიპყრო იგი. 1941 წელს ბრიტანეთის ჯარებმა განდევნეს ეთიოპიიდან იტალიელები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ამერიკის კაპიტალის შეჭრა ეთიოპიაში. 1952 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შეიქმნა ეთიოპია-ერიტრეის ფედერაცია.

ეთიოპია ნახევრადფეოდალური შთა მომავლობითი მონარქიული სახელმწიფოა. 1931 წლის კონსტიტუციის თანახმად ხელისუფლება ეკუთვნის იმპერატორს. ოფიციალურად ქვეყანას ეწოდება: „ეთიოპია ნევუსტ მან-გასტ“ — „ეთიოპია მეფეთა მეფის სახელმწიფოა“. ნევუსტი — იმპერატორი ქვეყანას მართავს მინისტრებისა და ნაცვლების (რასი) დახმარებით და სკემს კანონებს ორბალატინი პარლამენტის საშუალებით, რომლის შემადგენლობაში ნაწილი ინიშნება იმპერატორის მიერ, ნაწილი კი ირჩევა მოხელეებისა და მაღალი წრეების მიერ.

მოსახლეობა შედგება მრავალი ტომისაგან: ეთიოპელები (უმრავლესობა), ამხარა, ტიგრე, გალა, სომალი, დანაკალი და სხვ. ეთიოპიას ხშირად აბისინიას უწოდებენ, რაც არ არის სწორი. აბისინია ეთიოპიას არაბებმა უწოდეს. არაბულად „ჰაბაში“ ნიშნავს ბრბოს, მოხეტიალეს, ახლა ეთიოპელს აბისინიელი ხარო, რომ უთხრა, ძალიან ეწყინება და შეურაცხყოფად მიიღებს. სახელწოდება ეთიოპია ბერძნულიდანაა მიღებული: „ეთიოპ“ ნიშნავს „დამწვარს“.

...ჩვენმა თვითმფრინავმა მეფეთა-მეფის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული კილომეტრი გაიარა და უკვე დავუახლოვდით ეთიოპიის ისტორიულ ადგილებს, კერძოდ ადუსას. 1895 წლის დეკემბერში ეთიოპიის იმპერატორის მენელიქ მეორის ჯარებმა რას მკეონენის (ახლანდელი იმპერატორის ხაილე სელასიეს მამა) მეთაურობით დაამარცხა იტალიის ჯარი აბა ალაგას-

თან, ხოლო 1896 წლის მარტში კი მთლიანად გაანადგურა ის ადუსასთან.

თვითმფრინავიდან კარგად მოჩანს ადგილმდებარეობა. ერთი უხევედით ეთიოპიის რელიეფი დასავლეთ საქართველოს მოგავს, მხოლოდ აქ უფრო ნაკლებადაა ტყეები. ეთიოპია მთავორიანი ქვეყანაა, დაბლობები გვხვდება მდინარეების რაიონში. განსაკუთრებით საინტერესოა აქაური მაღლობები, აქ არის უამრავი მაღლობი, რომლის ზედა ნაწილი იდეალურად სწორია. ასეთი მაღლობი თავისი ფორმით მაგიდის მოგავს. მათ ასეც ეძახიან — „მაგიდისებრი მაღლობები“. ერთის უხევედით ის ზელოვნურად გაკეთებული გეგონება კაცს. ამ მაღლობებზე, თუ ის დიდია, მოსახლეობა ცხოვრობს, სადაც ეწვევიან მიწათმოქმედებას. ეთიოპიაში ტროპიკული ტყეები იშვიათად გვხვდება.

...ჩვენი თვითმფრინავი მშვიდობიანად დაეშვა ადის-აბებას აეროდრომზე, რომელიც ომამდე იტალიელებს გაუქმებიათ, ხოლო ომის შემდეგ მიუხაყუთრებიათ ინგლისელებს.

ადის-აბება ეთიოპიის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრია. ის, როგორც დედაქალაქი, ძალიან ახალგაზრდაა — 50-55 წლისა, 50 წლის წინ ის უბრალო სოფელი ყოფილა. ამ სოფელში იტალია-ეთიოპიის ომის დროს მენელიქი თავისი ჯარით დასაცემებლად დამდგარა. მას ძალიან მოსწონებია ეს ადგილი და ფიციც დაუდგია: თუ ომს იტალიასთან გამარჯვებით დავამთავრებთ, აქ დედაქალაქს გადამოიტანო. მანამდე ეთიოპიის დედაქალაქი იყო ენტონტო (ადის-აბებიდან დაშორებულია 12 კილომეტრით). მენელიქმა ომში გაიმარჯვა და ეს სოფელი გამოაცხადა დედაქალაქად, რომელსაც უწოდა ადის-აბება („ახალი ყვავილი“).

ადის-აბება მდებარეობს ზღვის დონიდან 2500 მეტრზე. ქალაქი მთლიანად გამწვანებულია. როგორც კი იგი მენელიქმა დედაქალაქად გამოაცხადა, მას გაუსტია განკარგულება, რომ ქალაქში და ქალაქის მიდამოებში დაერგოს ეკვლიპტი. ქალაქის ყოველი მცხოვრები ვალდებული ყოფილა ათი ძირი ეკვლიპტი დაერგო. ქალაქში ხშირად გვხვდება ეკვლიპტის ხეივანი. აქ უმთავრესად ისეთი ეკვლიპტია გავრცელებული, როგორიც დასავლეთ საქართველოში გვხვდება, მაგრამ მე აქ უკნინში სხვა ჯიშებიც, რომელიც იზრდება სიმეტრიულად, არ იგრინება

მთავარ ქუჩად რას მკეონენის ქუჩა ეწოდება, სადაც თავმოყრილია მთავარი მაღაზიები, ბანკები, კინოთეატრები, რესტორნები, უცხოელთა ფირმები და სხვადასხვა დაწესებულებები. მაღაზიები, ფირმები და რესტორნები ეკუთვნიან ინგლისელებს, ამერიკელებს, ფრანგებს და ბერძნებს. ეს ქუჩა გარდა მენელიქ მეორის მოედანზე, სადაც დგას მისი ძეგლი. სხვათა შორის, მენელიქ მეორის დიდ პატეისა სცემია ეთიოპელები, როგორც ეთიოპიის განმათავისუფლებელი. მისი ცხედარი დღემდე ინახება მკვთოლუშში. ასევე ლეგენდარულად იხსენიებენ ახლანდელი ნევუსის მამას რას მკეონენს.

— ყველა აქ არის? — მკაცრად შეეკითხა და შემკრთალ სოფელს თვალს მოავლო. — ოქრო-პაპა?! — უშალ ცხენოსნები აფრინა და ისიც ჩამოაყვანინა, ხალხს შუბოსნები შემოარტყა და მუქართი შეეკითხა:

— ვინ მოკლა მოურავი?

— სოფლის თოფმა! — ერთხმად აღმოხდა დიდ-პატარას. თითქოს ისევ ქონსალამურას „გაჩრდილვა და გალექსვა“ გრძელდებოდა.

— ვისი სახელით! რომელ სამართლის ძალით?! — მათრახი აღმართა ჯანდიერმა. შუბის ალყა მოაწურვინა სარანგებს.

ახლა კი დაღვდა სოფელი. სხვა „ჩრდილი“ აღიმართა მათ თვალწინ.

— მეფისა და სოფლისა! — უპასუხა ოქრო-პაპამ.

— საბუთი?! — სქექა ჯანდიერმა და ოქრო-პაპასთან გამეტებულად მიაგლო ცხენი. ქალ-ბავშვები დააწიოკა.

— აი პატრონო!.. — ხბოს ტყავი გაშალა და სოფლის სიგელი, ფარივით წინ მიიჩრდილა ოქრო-პაპამ.

ჯანდიერმა გამოართვა, ჩაიკითხა სიგელი, ხელის მოწერანიც ჩაათვალიერა... სულ ბოლოში, ჯერბ-სა და ცურის ნიშნებს ქვევით, მეფის ბეჭედი შენიშნა. — დაიშალენო! ზეინი ნახეთ! სამართალი წესიერი ყოფილა! — გადასძახა ხალხს და თავად, ოქრო-პაპას ქვეითად გაჰყვა.

...მაგრამ აშლილ ზეინთან რომ მივიდნენ, არც ბახუტა და არც ალექსანდრე იქ აღარ დახვდებოდათ.



ჯანმრთელობის რაცხვის უძველესი კერა საქართველოში

ჩვენს წინ დევს დროთა სიმრავლის გამო გაყვითლებული და დაცრეცილი საარტიფიქო დოკუმენტები, რომლებიც ცოცხლად წარმოგიდგინენ მანძილულ დედაქალაქის სურათებს.

აი რას გვამცნობს ერთი მათგანი:
1802 წელს ექიმ იზმალოვს, რომელიც მთელს თბილისის მასრაში ერთადერთი ყოფილა, მეფის მთავრობისათვის უცნობებია საქართველოში შექმნილი აუტანელი მდგომარეობა და ოფიციალურად დაუყენებია საკითხი საქართველოში სამედიცინო დაწესებულების დაარსების შესახებ. მაგრამ, თურმე, მას უკმაყოფილება: საქართველოში მეფის ყოველი ახალი დაწესებულების დაარსების საკითხი საქართველოს მთავარმმართველის გენერალ კნორინგის საქმეა, მაგრამ რადგან მისგან არ ყოფილა არავითარი მითითება ასეთი დაწესებულებების დაარსების შესახებ, მამასადამე საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების არსებობაც, ალბათ, საჭირო არ არის.

ამის შემდეგ 18 წლის მანძილზე არავის არ უზრუნვია სამკურნალო დაწესებულებების გახსნა საქართველოში. მძვინვარებდა ეპიდემიები, მასობრივად წყდებოდა მოსახლეობა. იმ ხანებში საქართველოს არ ჰყოლია არც ერთი ადგილობრივი ექიმი. მთელი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენი მხოლოდ სულ ოთხი ქართველი ექიმი ყოფილა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მეფის მთავრობა არ ცნობდა ადგილობრივ ექიმებს, დევნიდა მათ, ხოლო მოვლინებულ ექიმებს არ ესმოდათ ქართული ენა და, თანაც, მკურნალობისათვის დიდ გასამრჯელოს ითხოვდნენ, რაც მდებრივ მოსახლეობისათვის ხელმოუწყობელი იყო.

განსაკუთრებით მძვინვარე ხასიათი მიიღო მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში მასობრივმა ეპიდემიებმა, რამაც მეფის ნაცვლისა და მისი კარის ექიმის ყურადღებაც მიიქცია. მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა გენერალი კნორინგი გახსნილიყო თბილისში მცირეხასილოანი პრიმიტიული საავადმყოფო სწორედ აქედან იწყება დღევანდელი რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს დაარსების ისტორია.

აღნიშნული საავადმყოფოს დაარსებიდან თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში იგი გადიდებული იქნა მხოლოდ 58 საწოლით. ამასთან ბინის უქონლობის გამო საავადმყოფო სისტემატურად გადაქონდათ ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში.

ბოლოს ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა გამოენახა შესაფერისი ადგილი და აეშენებინათ საავადმყოფოსათვის მუდმივი ბინა. ამ მიზნით 1863 წელს შეიქმნა კომისია კარის ექიმ ლობაუს თავმჯდომარეობით, რომელმაც საჭიროდ ცნო საავადმყოფო აშენებულიყო მიხეილის პარსებქტზე, იმ ადგილას, სადაც ახლაც მთავრებულია. 1865 წელს კიდევაც ჩაყარა საფუძველი თბილისის პირველ საავადმყოფოს მშენებლობას, ამჟამად არსებული რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს კორპუსებს, რომლის მშენებლობა სამ წელს გაგრძელდა.

ამრიგად, 1868 წელს მ ნოემბერს თბილისში გაიხსნა ორასწაწლიანი ახალი საავადმყოფო.

აქ პირველ ხანებში მხოლოდ ორი — თერაპიული და ქირურგიული განყოფილება არსებობდა. ერთი წლის შემდეგ მას მიემატა სულით ავადმყოფთა განყოფილება 24 საწოლით. მთელი მომსახურე სამედიცინო პერსონალი ჩამოსულებისაგან შედგებოდა.

მკურნალობა, რა თქმა უნდა, ფასიანი იყო. საავადმყოფოში არსებობდა პრივილეგიური და მდებრივთა პალატები. ერთსაწლიანი პალატა თვეში 60 მანეთი ღირდა, ორსაწლიანი 50 მანეთი, ნ საწოლიანი — 40 მანეთი და ა. შ. მკურნალობის ასეთი ფასების გამო მოსახლეობის დაბალი ფენები მოკლებულნი იყვნენ საავადმყოფოთა სარგებლობის საშუალებას.

ამის შემდეგ, მიუხედავად ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდისა, მრავალი წლის მანძილზე არავინ არ ზრუნავდა საავადმყოფოს გაფართოებაზე და საწოლთა რაოდენობის გაზრდაზე. ამას ნათლად ადასტურებს შემდეგი ფაქტი: მაგალითად, 1902 წელს ადგილის უქონლობის გამო საავადმყოფოში დაწვეწანა უარი ეთქვა 5732 ავადმყოფს, 1903 წელს — 5857 ავადმყოფს, 1904 წელს კი — 6405 ავადმყოფს.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მხრივ არაფერი შეცვლილა საქართველოში მეცხრამეტე ბატონობის პერიოდში. ისედაც მცირე სამკურნალო დაწესებულებების ქსელი უფრო განადგურდა, რის გამო ახალი ძალით იფეთქა მთელმა რიგმა ინფექციურმა დაავადებამ, რაც მუსრს ავლებდა მშრომელ მოსახლეობას.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი ჯანმრთელობის დაცვის საქმის მოგვარება.

სწორედ ამ მომენტიდან იწყება, აგრეთვე, ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის უძველესი კერის — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს — გაფართოება და კეთილმოწყობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო გახდა როგორც მშრომელთა ჯანმრთელობის, ისე ქართველი სამედიცინო კადრების ნამდვილი სამკუდლო. აქ აღიზარდნენ და დგაჟაკადნენ ათასობით სამედიცინო დარგის ქართველი სპეციალისტები. აქ, ამ საავადმყოფოში მუშაობდა საქართველოს ყველა გამოჩენილი მედიცინის მუშაკი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საავადმყოფოს პირველი ქართველი მთავარი ექიმი იყო სახელოვანი კლინიკისტი პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის, როგორც ამ საავადმყოფოს გაფართოებისა და კეთილმოწყობის, ისე მთელს რესპუბლიკაში სამედიცინო მეცნიერების წინწაწევისა და აყვავების საქმეში.

ვირსალაძის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, საავადმყოფოს მთავარ ექიმად მუშაობდა საქართველოში მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებელი გრიგოლ მიხეილის-ძე მუხაძე, რომელმაც თავისი მრავალმხრივი მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობით წინ წასწია არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის საქმე, არამედ დამსახურებული წვლილი შეიტანა მთელს საბჭოთა სამედიცინო ქირურგიის განვითარებაში.

პროფესორ მუხაძის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში სისხლის გადასხმის ორგანიზაცია და მისი ფართოდ გამოყენება ჩვენს საავადმყოფოებში. მუხაძის მიერ ორგანიზებული სისხლის გადასხმის სადგური 1935 წელს გადააკეთებულ იქნა სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. მუხაძის ინიციატივით გახსნილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული კლინიკური ქირურგიისა და პედაგოგიის ინსტიტუტი.

მაყვალა მრკლიშვილი

ბონის ხიდი

ბონის ხიდი, — ბეწვის ხიდი,
ქვეშ ირევა მორევი,
გზა — უფსკრულში ჩახახედი
ბოზოქანი მოსაბედი...
ფეხის ოდნავ მოსაყიდი, —
შხეფის ნამაბობები.
ბონის ხიდი ორ კლდეს შორის
საცალფხოდ გაწვდილი,
მიენდობი — დაქანდება
ჩაკედული გზაწვრილი...
უნებურად გათამაშებს

მოქნილი და მერყევი
ამიჩქარა ნაბიჯები,
ფეხით ოდნავ ვეხები,
თვალს კი არ აგებრდები, —
ჩურჩულებენ ვერხვები,
...მიენდობი, — მიგაქანებს
ფეხი არი-დარია.
ქვეშ მორევი, ქვეშ — ვერხვები
სასეიროდ არიან...
ბონის ხიდი სიყვარულის
მე და შენი დარია.

ციხინათია

ჩაკურბა დამის წყვილიდმა
მთებიც, ხეობაც, შუკაც,
მზე მკლავში მოიმწყვდია და
გასტორცნა მთების უკან.
უმთვარო დამის დაშვებულ
შავი ხავერდის ფარდას
ვიდაცა ოქრონმსულით
შორი-შორი ბლანდაც მარდად;
ჩაქრა — ამოხდა...
ჩაჰყვა — ამოჰყვა,
ჩაყრა-ამოყრა სწრაფი!

გავლო ნაწყვეტ-ნაწყვეტად
სინათლის ცალფა ძაფი.
მერე უკანვე გამოჰყვა
კვლავ ოქრომკედის შუქად,
ერთმანეთს გადააბლანდა
ტყეცა და სოფლის შუკაც.
ნემსი თუ გარჩა ბუჩქებში,
ან ყუნწში უტირს გაყრა?
შედეგა და...
ოქრონმსულიც
თვალწინ უეცრად გაქრა.

* *

შენზე ვფიქრობდი, ოცნებამ, ალბათ, ექვით შემხედა პატარას თვალმა:
წარბი გამისხნა, მხოლოდ ეგ იყო, — რაზე იცინი, ჩემო დედიკო?

ბათნიის ნაჟარო

კიდევ გიხილი,
ბეთანიის ანკარა წყაროც,
სულ რომ დღინებ,
ახე, შენთვის,
ჩუმად რომ ხარობ.
რა გიხარია, ერთი მითხარ,
რა გიხარია, —
ტოლ-მეგობრები დამეკარგა
კარგა ხანია...
არ გახსოვს, განა! —

ბევრს უყვარდი,
რა გეხსოვება;
მას შემდეგ გზები
შენც მრავალი
დაგექსოვება.
დაგეწვფები, საძაგელო,
სულ რომ დღინებ,
იმით მაგვიერ,
კვლავ რომ სწყუროდი
და ვერ გიხილეს.

პროფესორ მუხაძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად ჩაყარა საფუძველი ქირურგიის ახალ სპეციალურ დარგებს: უროლოგიას, ორთოპედიას, ტრავმატოლოგიას, ქირურგიულ და თერაპიულ სტომატოლოგიას, ონკოლოგიას, ნეიროქირურგიასა და გულმკერდის ქირურგიას. აღნიშნულ კლინიკაში აღიზარდნენ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი დოსტარები.

ვირსალაძესა და მუხაძესთან ერთად სხვადასხვა დროს ამ საავადმყოფოში მოღვაწეობდა თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი მედიცინის დარგის მუშაკი.

დიდია რესპუბლიკური საავადმყოფოს როლი ქართული სამედიცინო ისტორიის განვითარებაში. საქართველოში ეს იყო არა მარტო პირველი საავადმყოფო, არამედ ძირითადი კერაც, რომლის განშტოების შედეგად წარმოიშვა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, კლინიკა და საავადმყოფო.

როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტი გაიხსნა და შემდეგ იგი საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტად გადაკეთდა, ამ ინსტიტუტის მთავარ სასწავლო-სამეცნიერო ბაზად გადაიქცა რესპუბლიკური საავადმყოფო, სადაც მუშაობს მრავალი კათედრა და კლინიკა, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა კადრები წარმატებით ეუფლებიან სამედიცინო მეცნიერების ყველა ინახლეს.

ამჟამად, ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის ეს უძველესი კერა წარმოადგენს კეთილმოწყობილ სამკურნალო კომპლექსს თავისი მრავალრიცხოვანი განყოფილებებით, კლინიკებით, ლაბორატორიებით, უზალესი სამკურნალო მოწყობილობებით და სამედიცინო მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრებით. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად საავადმყოფოს მომსახურებას უწყვეს ექვსსაზე მეტი მედიცინის მუშაკი, მათ შორის, ოთხი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რვა პროფესორი, თერთმეტი მეცნიერებათა კანდიდატი, ოცდაშვიდი ასისტენტი, ასთორმეტი კვალიფიციური ექიმი და სხვა საშუალო სამედიცინო პერსონალი. საავადმყოფოსთან მუშაობს საკუთარი კეთილმოწყობის ოპოლიკლინიკა, აფთიაქი, რენტგენის კაბინეტი, ლაბორატორიები და სანიტარულ-საავიაციო სადგური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო დახმარებას უწყვეს შორეულ რაიონში მცხოვრებთ. საავადმყოფოს შენახვასა და კეთილმოწყობაზე სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს 7-8 მილიონ მანეთს. საავადმყოფოს წინაშე ბრწყინვალე პერსპექტივებია გადაშლილი. მისი მომავალი პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს საავადმყოფოს მთავარი კორპუსისათვის მესამე სართულის დაშენებას და ახალი კლინიკების გახსნას, საავადმყოფოს თბოელექტროსადგურთან შეერთებას, ბალნეოლოგიური მკურნალობის დაწარმოებას, საავადმყოფოს ტერიტორიის გაფართოებას, გამწვანებასა და კეთილმოწყობას.

დიდი და საპატიოა საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში რესპუბლიკური საავადმყოფოს კოლექტივის წვლილი.

პარტიისა და ხელისუფლების შეუწელებელი ზრუნვით აღფრთოვანებული ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის კოლექტივი კიდევ უფრო თავდადებათ იმუშაავებს ჩვენი მშრომელების ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გ. ქობულაძე,

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი

მცხეთა

I

არქეოლოგიური კვლევის

კვლევი

თბილისი
1955

პროფ. გ. რიპიანი

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტომი I. ა. აფაქიძე, გ. გო-
ბეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე — არმაზისხევის არქეო-
ლოგიური ძეგლები. რედაქტორი პროფ. გ. ჩუბინაშვილი.

მცხეთა — იბერია-ქართლის უძველესი
დედაქალაქი — დიდი ხანია მცხეთი-
თა ყურადღებას იპყრობს. თხზილი
წლის წინათ მცხეთის ერთ-ერთ უბანზე წარ-
მოებულმა ეპიგრაფიკის ხასიათის გათხრებ-
მა ცხადი გახადა, თუ რამდენად საჭირო
და აუცილებელია ქართველი ხალხის ამ
ძველი კულტურის კერის შესწავლა-გამო-
კვლევა. ამ მუშაობის გეგმავწილობად
წარმართვა სისტემატურად და სათანადო
მცხეთის დონეზე შესაბამისი შეიქმნა
მხოლოდ საბჭოთა ხანაში. 1936 წლიდან
აქ გაიშალა ის ფართო არქეოლოგიური
სამუშაოები, რომლებსაც აკად. ივ. ჯავახი-
შვილი და აკად. ს. ჯანაშია ხელმძღვანე-
ლობდნენ.

მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას
თავიდანვე დიდი წარმატება ხვდა წილად.
ასალი აღმოჩენების შუქზე ახლებურად
დაისვა და ახლებური გადაწყვეტა პოვა
იბერია-ქართლის ისტორიის მრავალმა საკ-
ვანძო პრობლემამ. დღეისათვის მოხაზუ-
ლია „დიდი მცხეთის“ სახელები: წიწა-
მური, კოდმანი, სარკინეთი, ძეგვი, ქართ-
ლისხევი, კარსანი, მუნათვერდი და ნა-
ქულობაქევი.

ამ დიდ ტერიტორიაზე არქეოლოგიური
გათხრები ჩატარდა სამთავროში, არმაზ-
ციხეში, წიწამურში, სარკინეთში და არ-
მაზისხევის შესართავთან. ყველგან მნიშე-
ნელოვანი შედეგებია მოპოვებული, თუმცა
სამუშაოები ჯერ კიდევ დამთავრებული არ
არის და კიდევ ბევრია გასაკეთებელი.
შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ
არმაზისხევის უბანზე წარმოებულმა გათ-
ხრებმა თავისი შედეგებით ყოველგვარ
მოლოდინს გადააჭარბა. ერთი პექტარის
მოცულობის ტერიტორიაზე აღმოჩენილია
ისეთი ძეგლები, რომელთა მნიშვნელობა
განუზომელი და დაუფასებელია. ეს იბე-
რია-ქართლის ტრიადა, რომელიც თანამედ-
ვერდში ამოუდგება მსოფლიო მნიშვნე-
ლობის მქონე დიდ არქეოლოგიურ აღმო-
ჩენებს (ურბი, ტელმალაღი და
სხვ.).

არმაზისხევის არქეოლოგიურ გათხრებს დაწყების მომენტიდან ბევრთად უძ-
ველესი არქეოლოგები ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე და გ.
ლომთათიძე, რომლებიც ახალგაზრდული ვატიცებით ეწეოდნენ მძიმე შრომას და
რომლებიც ამ მუშაობაში გამოაწილდნენ, დაწინაურდნენ და დასაქვიალდნენ.
ისინი არიან სარეცენზო ტომის შემდგენელი ავტორები.

წიგნის ავტორებს მიზნად აქვთ დასახული: აღწერონ, დაახასიათონ არმაზის-
ხევი არქეოლოგიური გათხრით მოპოვებული ძეგლები და გაარკვიონ მათი კულ-
ტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. ამ მიზნის მისაღწევად ავტორები პირველ
თავში იძლევიან მცხეთისა და მისი მიდამოების ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგ-
ლთა მიმოხილვას, ხოლო მომდევნო თავებში ქრონოლოგიურ ნუსხას არმაზისხე-
ვი ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების შესახებ და სამართავანზე აღ-
მოჩენილი სამარხების აღწერასა და დაკრძალვის წესების აღწერას.

აღწერილობით ნაწილში ავტორები დაწერილობით იხილავენ თვითველ საგანს,
მის აღზარობას, ასახელებენ მასალას, დამზადების ხერხებსა და გამოყენებაზე
ნიშნობენ. ამის კვალობაზე შესრულებულია მეტად შრომატევადი სამუშაო.
აღწერილობა: სარკინოვანი, ორფერდასახურავიანი შედგენილი და ბანურსახურა-
ვიანი შედგენილი ქვის სამარხები, კრამიტის სამარხები და მათი ინვენტარი,
წარწერანი სტელები, აბანო, მარანი, ზღურბლიანი ნაგებობა, ორსენაკიანი ნა-
გებობა, ქვაფენილის ნაშთები და სხვ.

განათხარი მასალის აღწერილობის მიხედვით ირკვევა, რომ არმაზისხევის შე-
სართავთან მდებარე გვილი წარმოადგენდა იბერიის მკვდრების მალაი თანამდ-
ეობის პირთა პიტიახეების — ერიისთავების ადგილსაცხოვრებისა და მათ საო-
ჯახო ნეკროპოლს — სამაროვანს.

ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძეგლის დათარიღების საკითხში
როული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩატარებიათ და საკითხის ყოველმხრივი
აწონ-დაწონის შემდეგ დამაჯერებელ დასკვნებს იძლევიან. ამ მიზნით გამოყენებუ-
ლია არა მარტო მონეტები, არამედ ნივთების ტიპოლოგიური მსგავსება და სტრ-
ოსტურული შეხვედრები. საყურადღებოა, რომ დათარიღებისათვის გამოსაღვე-
რისი მარტოველი როგორც მონეტა კრიტიკის ბრძმედშია გატარებული და
მხოლოდ ამის შემდეგ არის ის სარწმუნოდ მიჩნეული.

კვლევა-ძიების შედეგად ავტორები ასკენიან, რომ არმაზისხევის ტერასაზე
აღმოჩენილი ძეგლების ერთი წყება II-III საუკუნეს, მეორე წყება IV საუკუ-
ნის, ხოლო შემდეგი წყება ამის მომდევნო საუკუნეებს განეკუთვნება. ძეგლთა
ამ რიგიდან ავტორთა შესწავლის საგანს პირველი ორი წყება შეადგენს, ვინაი-
დან არმაზისხევის არქეოლოგიური კომპლექსის ძირითადი და უმნიშვნელოვანეს
ძეგლებს ესენი ეკუთვნიან.

წიგნის ავტორები ადგენენ, რომ არმაზისხევის შესართავთან აღმოჩენილი
ძეგლები ეკუთვნიან იბერიის სამეფო კარის დიდ მოხელეებს, რომელთა რუხილენ-
ცია აქ უნდა ყოფილიყო და რომელთა საგვარეულო სამაროვანი აქ არის აღმო-
ჩენილი. ირკვევა, რომ სამეფო კარის დიდი მოხელეების სახელო ინსტიტუტის
სამეფო (სამეფო) თვალზე დიდი მოხელის სახელიცაა წარწერილი თა-
ნამეფობაზე მითითებით). ოქროსქაშისანი სტელარი, დადგმა, ოქროსბალთე-
ბიანი სარტყელი და ოქროს ფარფლებითა და ოქროსმკედით შემკული სამოსელი.
ამ მონაცემებს კარგად უდგება და ამაგრებს ის წარწერები, რომლებიც აქვე,
ამვე სამაროვანზე აღმოჩენილი. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის ორენოვანი
(ბერძნული და არამეული) წარწერა სტელაზე, სადაც (პროფ. გ. წი-
რეთლის წაკითხვის მიხედვით) დასახელებულია მეფე ფარსმანი, მისი მცირე პა-
ტრიაზში ზეგანი, მისივე შოის მოძღვარი აგროფა, მეფე ქსეფარნუტი, მისი ეზოს
მოძღვარი იოდმანგანი. მეორე არამეულ-არამეული წარწერაზე იკითხება დიდი
მეფე ფარსმან, დიდი მეფე მიზრდატ, ამისი პიტიახეში შარავისი. სხვა წარწერე-
ბიც ასახელებენ (ბერძნული და არამეული) პიტიახეებს — ასპარუგი, ბერუსმა

და სხვ. მარტოდმარტო ეს მონაცემებიც
კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ
მკვლევარს გადამწყვეტი საბრძოლო
იმ ხანის იბერიის ახელმწიფოებრივ
მმართველობის სისტემის შესახებ.

მეორე ამ საკითხის გადაწყვეტად
არანაკლები მნიშვნელობის მქონეა ის
სამეურნეო ვითარება, რომელიც აქ აღმო-
ჩენილი მასალის მიხედვით დასტურდება.
ჩვენ მხედველობაში გვაქვს გათხრებან
შედეგად აღმოჩენილი ოქროსმკედლობის
ნიმუშები, რომლებიც მათ მნიშვნელობაზე
მეტყველებენ.

ძვირფასი ლითონისაგან (ოქრო-ვერცხ-
ლი) დამზადებული ნივთების შესწავლიდან
ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ აქ
ოქროსმკედლობა მალად დონეზე იყო და-
ყენებული და რომ აქ ხელოსნები იყენებ-
დნენ ლითონისა და პატისონის თვლების
დამუშავების ისეთ ხერხებს, როგორიცაა
ცივი ჯერვა, ჩამოსხმა, ამოკვეთა, გრენი-
ლი, ზარნიში, მოთქვა და პოლიქრომა.
მათ მოჰყავთ შესანიშნავი მაგალითები
იმის ნათელსაყოფად, რომ „ოქროს მზი-
ნავ შედარირზე ნაირფერადი ქვების ჩასმა
მორგებისა და შესამების ოსტატობა აქ
ფრიად მაღალ დონეზეა აყვანილი, რომ აქ
გამოყენებულია ოცამდე ძვირფასი და ნა-
ბევრად ძვირფასი თვლი“. თვლების კია-
ფის გასაძლიერებლად ოსტატები ალმადი-
ნის თვლებს ქვემოთ ფოლგას უკეთებდნენ,
რაც ფეხტს ადიდებდა.

ავტორები დამაჯერებლად, სრული სა-
ზუთიანობით ამტკიცებდნენ, რომ პოლი-
ქრომა ნიშანდობლივი თავისებურება არ-
მაზისხევის ოქროსმკედლობისა, რაც
მას მკაფიოდ გამოჰყოფს ბევრ სხვა ქვე-
ყანაში აღმოჩენილი იმდროისდელი ოქ-
როსმკედლობის ნაწარმისაგან. როგორც
სამართლიანად აღნიშნავენ ავტორები, მო-
თქვასა და ოქროსმკედლობის სხვა ხერხები
ანალოგები მოხვედრა უძველესი ხანის
ქართული ტომების ოქროსმკედლობა-
ში — რეხლებში (თრიალეთის გათხრე-
ბით მოხვედრული ძვ. წ. მეორე ათას-
წლიანი) და ქაიხან — ასალგორის ძვ. წ.

წლებლის შესახანის ნივთებისა
მეხუთე საუკ. განძში). ჩვენის მხრით დაეძმნთ, რომ ქართული ლი-
თონის — ოქროსმკედლობის ძველი ტრადიციები კარგად ჩანს ქართველ
ტომებში თუბალების, მესხებისა და ხალხების ხელოვნებაში, რომელთა შესახებ
საკვლავურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლითონის დამუშა-
ვების ოსტატობა მათთან უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე მათ თანამედროვე
ფრიგიასა და ურარტუში (Schachermeyr, Herzfeld). არმაზისხევის ოქ-
როსმკედლობის ხელოვნება საშუალო საუკუნეებში ახალ სიმაღლეზე იქნა აყვა-
ნილი და განვითარებული ქართველი ოქროსმკედლების მიერ (ბეჭა და ბეშქენ
ოპიზანი და სხვ.), ეს ტრადიცია ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც იყო შემონა-
ხული (ზემო სვანეთში, ეცების თემში ოქროსმკედლობას ქალბერც კი მისიღვენენ).

არმაზული ოქროსმკედლობის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ნიმუში, რო-
მელსაც ბადალი არ მოჰპოვებდა იმდროისდელი ნივთების შორის, არის ოქროს
ყელსაკიდი, რომელიც აღმოჩნდა ბერუსმა პიტიახეში სამარხში. მის განსაკუთრე-
ულ ოსტატს მარჯვედ უხმარია ჭვირული (აქურული) ხელობის ცვაზრვისა და
მოთქვის ნაირ-ნაირი ხერხები.

ასეთსვე იშვიათ სამკაულს შეადგენს მეორე პიტიახეის ასპარუგის სახელო
ემბლემა სარტყელი. ეს სარტყელი „რთული ოქროსმკედლოური ტექნიკის ნაწარმს
წარმოადგენს, ერთობლივ გააზრებულსა და მაღალმატრული გემოვნებით გა-
კეთებულს... მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით აქ აღსანიშნავია ოქროს
ყელსაკიდი და მხატვრული შეხვედრები, შესანიშნავად შერჩეული ფერის თვლებით და ოქ-
როსმკედლითა თუ ცვარით გამოყვანილი, ფაქიზი სახეებით სარტყლის სამკაული
მოლიანად ისეა განლაგებული, რომ ბალთების მორიგობა გარკვეულ სისტემას
ქმნის, საერთო მოყვანილობის, თვლების მოყვანილობისა და ფერების მიხედვით“.


ამგვარი სარტყლის ცალკეული ნაწილების ანალოგებს ავტორები ასახელებ-
ენ საქართველოს ტერიტორიაზე გათხრით მოპოვებული საგნების სახით. მაგ-
რამ ეს მსგავსება სრულ დამთხვევას როდი წარმოადგენს. ერთ-ერთი ნიშანდობ-
ლივი განსხვავება ამ მსგავს ნივთებს შორის ის არის, რომ ასპარუგის სარტყლის
ბალთების სამკაულში, ისევე როგორც არმაზისხევის ზოგიერთ სხვა სამკაულში,
უხვადაა მოცემული მოსართავად ფირუზი, რაც სხვაგან არსად არ ჩანს. ავტო-
რები ასკენიან, რომ „ასპარუგის სარტყელი, მთლიანად გამოირჩევა როგორც
ერთი ყველაზე უფრო თვისთავადი და სწორუმოვარი საგანი (გვ. 28)“.

არა ნაკლებ ტექნიკურ დაწინაურებას ამჟღავნებენ ვერცხლის ნივთები ლან-
გრები, ბინაკები, ორფურები, საღვინე სურები, სარცლის ფეხები და სხვ.

ავტორები სრული დამაჯერებლობით არკვევენ, რომ არმაზისხევის ოქრო-
სმკედლობის ნიმუშების დიდი უმეტესობა ადგილობრივი წარმოშობისაა, რომ ისი-
ნი აქ არიან დამზადებული და უწყვეტ კავშირში იმყოფებიან ქართული ოქრო-
სმკედლობის ტრადიციებთან, რაც იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ადგილობრივი
წარმოების დამახასიათებელი ნიკები ფართოდაა გავრცელებული იმდროინდელ
საქართველოს მიწა-წყალზე: სამთავრო, ახალგორი, სოფ. ალაიანი, სოფ.
ერედა, რუსთავი, სოფ. უსახელო.

ავტორები მართებულად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ არმაზისხევის
მიდარ სამარხებში აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლის ნაწარმი, გარდა იმისა, რომ
ნიჭირი და მხატვრული გემოვნებით დაჯილდოებული ოსტატების შთანაფექ-
რად გვევლინება, აგრეთვე, ისეთი სახელოსნოების არსებობას გვგვარადღებინებს,
რომლებშიც გარდა დიდი ოსტატებისა, მრავალრიცხოვანი დამხმარე მუშაკებიც
იქნებოდნენ ჩამოხული და შრომაც ჯეროვანად იქნებოდა დანაწილებული. ავტო-
რები გარაუდობენ, რომ ამგვარი სახელოსნოები სახელმწიფო მასშტაბის დაწე-
სებულებები უნდა ყოფილიყო და არა ცალკეულ ხელოსანთა საკუთრება. ამას-
თან დაკავშირებით, თუ გავიხსენებთ წერილობით წყაროების ცნობას, რამდენი
ოქროს ნივთი გადიოდა იბერიიდან სხვადასხვა სახელმწიფოში ძღვნად, — ასეთი





ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკულ შედევრებს შორის ორი ძველი მიხეილ ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. ესენია „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელიც პოეტის მიწაწერის მიხედვით ეძღვნება „ქნიაზს მ...პ...-ე ბარათაშვილს“ და სამსტრუქონიანი ლექსი სათაურით „ქნიაზ ბარათაშვილის აზარფეშაზე“...

ამავსებ ღვინოთ, — აგავსებ ღვინოთ, შესევ? — გაამოს!

ადრესატი ამ ლექსებისა მიხედვით პეტრეს-ძე ბარათაშვილი სწორედ იმ წლებში მოგზაურობდა საქართველოში, როცა ეს ლექსები დაიწერა.

მიხეილ ბარათაშვილი დაიბადა 1784 წლის 5 თებერვალს (ახ. სტ.) ქ. სიმბირსკში (ახლა ულიანოვსკი). მისა მამა, გენერალ-პორუჩიკი პეტრე მელქისედექის-ძე ბარათაშვილი (ბარათაშვილი) სიმბირსკის გუბერნატორი იყო. მელქისედექი რუსეთში ვახტანგ VI-ს გაჰყვა და ადგილ-მამული და ყმები სიმბირსკის გუბერნიაში ერგო. სოფელს, სადაც ის დამკვიდრებულია, ბარათაშვილები 1798 წ. მიხ. ბარათაშვილი საარტილერიო ბატალიონში შევიდა. 1806 წ., როცა რუსეთ-საფრანგეთის ომი დაიწყო, ის ერთ-ერთ ჰუსარათ პოლკში ჩარიცხეს. ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსი ხალხის გმირულ ბრძოლაში მას დიდი ფაქტობა და თავდადება გამოუჩინია, რის დამადსტურებელი ორდენები და სხვა ნიშნები უსხავდა ამშვენებენ მის მკერდს.

ნიკიერი და სხვა ოცნებით გატაცებული მ. ბარათაშვილი ადრე დარწმუნდა, რომ მისი მოწოდება სამხედრო სარბიელზე წარმატება არ იყო. სამსახურიდან გათავისუფლდა და თავის მშობლიურ სოფელ ბარათაშვილაში დაბრუნდა. ამ დღიდან მ. ბარათაშვილის ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა იწყება; ის ხდება საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკური ფიგურა და მკვირი.

1815 წ. მ. ბარათაშვილს ირჩევენ სიმბირსკის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად, ხოლო ხუთი წლის შემდეგ გუბერნიის მარშალად. ამ არჩევამ მომავალ მეცნიერს ხელსაყრელი პირობები შეუქმნა იმ დროინდელ მოწინავე ადამიანებთან დაახლოებისათვის. 1817 წ. ის ხდება წვერი პეტერბურგის მასონური ლოკისა, რომელსაც „მეგრეთული მეგობრების ლოკა“ ერქვა. დაახლოებით იმავე ხანებში იგი ყაზანსა და სიმბირსკშიც აარსებს ამგვარ ლოკას, რომელსაც მან „სათნოების გასაღები“ უწოდა და რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. მოწინავე იდეებით გატაცებულ მ. ბარათაშვილზე დეკაბრისტების შეთქმულებაში მონაწილეობის ეჭვი მოუტანიათ და დაუპატიმრებიათ, მაგრამ საბუთების უქონლობის გამო ისევე პაღე გაუთავისუფლებიათ. რეპლიტაციის შემდეგ ის კვლავ სამოქალაქო სამსახურში დაბრუნდა. 1839 წელს, მსგავსად მის მეგობარ დეკაბრისტთა ერთი ჯგუფისა, მ. ბარათაშვილიც საქართველოში იგზავნება. აქ ის საოლქო საბაჟოს მმართველად ინიშნება. სწორედ ამ დროს იწყებს იგი თავის დიდსა და საყურადღებო შრომას.

„თქვენს საუცხოო და დიდად მშვენიერს ქვეყანაში ჩემმა მცირე ხნით ყოფნამ გულში ღრმად ჩამინერგა გრძნობა უწრფელესი სიყვარულისა და მადლობისა. — წერს იგი თავისი შრომის შესავალ ნაწილში. — გინმე მწირი და ყარბი, რომელიც ვეჭირობდი რომ აქ მხოლოდ ჩემს წინაპართა საფლავების ჯვრებს ენახავდი, ვიპოვე თქვენი ტრფილებით აღსავსე და სიყვარულით გამთბარი გული“... მიმართავს ის თავისი წიგნის შესავალში

ქართველ ხალხს, რომელთა შორის მას მრავალი ცოცხალი ნათესავი აღმოაჩნდა. მათ შორის პირველი ადგილი ჩვენი დიდებული პოეტის მამის მელიტონ ბარათაშვილის ოჯახს ეჭირა, ამას ისიც ადასტურებს, რომ მელიტონის ახლობელ წინაპარსაც და მიხეილის პაპასაც მელქისედექი ერქვა. ეს სახელი იყო ბარათაშვილთა ამ შტოს საგვარეულო სახელი იყო. სხვა წყაროებთან დადამოწმებულია მელიტონისა და მიხეილის ნათესაობა და დიდი მეგობრობა. როცა მიხეილმა თავისი ნაშრომი გამოსცა (1844 წ.), მისი ეგზემპლარები მელიტონის გამოუგზავნა, თან წერილც მოსწერა (1846 წ.) და თხოვდა, თქვენი შენიშვნები მომწერეთ ჩემი წიგნის შესახებო.

სამწუხაროდ, ამ ბარათის მიღების დროს ჩვენი დიდი პოეტი გარდაცვლილი იყო და ეს საინტერესო ნაშრომი და ბარათი არ უნახავს. დასახლებული წერილის მოწერის შემდეგ არც თვით მიხ. ბარათაშვილს უცოცხლია დიდნას. საქართველოს სტატისტიკური საზოგადოების საბატოი წევრი, ნამსწერი წვერი ჩრდილოეთის ანტიკვარის დანიის საზოგადოებისა და რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი მიხ. ბარათაშვილი გარდაიცვალა 1856 წლის 28 მაისს.

საქართველოში მ. ბარათაშვილმა სულ 4 წელი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მან მოახერხა ქართული ფულის მეტად ძვირფასი კოლექციის შეკრება: აღსანიშნავია, რომ მან ქართულს გარდა აქვე შეაგროვა: არაბული, თურქული, ირანული, სომხური, ბერძნული და რომაული ფულებსა და სხვა ექსპონატების მდიდარი კოლექციები. ამ მხრივ ის იმდენად გატაცებული და რომანტიკულად განწყობილი ყოფილა, რომ სულ მცირე, მაგ-

რამ მისთვის ფრიად საინტერესო ნივთის შექენისათვის არაფერს იშურებდა.

ამგვარი გატაცებით და ზრუნვით დატარებული მასალების საფუძველზე დაიწერა მისი ცენტრალური წიგნი, რომელსაც ქართული ეწოდება: „წიგნი მატაიკის ფაქტები ან ძველი ფული საქართველოს სამეფოსანი“. ეს წიგნი 1844 წელს გამოქვეყნდა პეტერბურგში და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისაგან მაღალი შეფასებაც მიიღო. როგორც მეცნიერული ალბომი და დაკვირვებით შედგენილი პირველი ნაშრომი. 1847 წ. წიგნი იხილეს ისტორიკოსმა მარი ბროსემ ამ შრომის მიხედვით შეადგინა თავისი გამოკვლევა ქართული ნუმიზმატიკის შესახებ, ხოლო 1852 წ. ფრანგმა ლანგლუამ მ. ბარათაშვილის ამ ნაშრომზე დაყრდნობით დამუშავა და გამოსცა თავისი გამოკვლევა „ქართული ნუმიზმატიკის ახალი მიმოხილვა“, რომელშიც მან აღნიშნა, რომ მ. ბარათაშვილის წიგნი გამოირჩევა დღემდე გამოცემულ ყველა ნაშრომს შორის ქართული ნუმიზმატიკის შესახებო.

მ. ბარათაშვილის ეს წიგნი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან.

თვითუფლ განყოფილებაში ძველები წარმოდგენილია ფაქტულად შესრულებული ილუსტრაციებით, რომლითაც ნათელი და თვალსაჩინო ხდება ყოველი დეტალი და დამახასიათებელი შტრიხი დოკუმენტისა, მოცემულია მათი ყოველმხრივი გამოკვლევა ფულისხმირი აღწერით, ზუსტად გაიფურულა მათი წარწერები, დადგენილია თარიღები, ქართველ მეფეთა და მთავართა გენეოლოგიური ტაბულარი, გაკეთებულია საჭირო ისტორიული დასახულებანი, შენიშვნები და განმარტებანი რუსულ, ფრანგულ და ქართულ ენებზე. წიგნი ძირითადად შედგენილია რუსულ ენაზე დაიით ჩუბინაშვილის ქართული თარგმანის დართვით.

ნაშრომის ავტორი მართებულად გვარწმუნებს, რომ ეს ღონის მონეტები ხელნაწერზე უფრო გამძლენი არიან და სხვა ტემპირებათა დამამტკიცებელნიც, ამიტომ იგი გასაცარი მუყაითობით სწავლობს ქართული ნუმიზმატიკური ფაქტების ყველა ნიმუშს, ხოლო მათი საშუალებით საქართველოს ისტორიას, მის ძირითად წყაროებს.

წიგნის დასასრულს ავტორი დიდი მორიდებით წერს: „ჩემს თავს ბედნიერად ვივლი თუ ჩემი პირველი ნაშრომი თქვენს მშვენიერ მამულში გააღვიძებს სურვილს ამგვარი მუშაობის განგრძობისას ჩემგან დაწყებული საქმის შესავსებად და გასაღრმავებლად... მაშინ ეს ჩემი ნაშრომი დარჩება როგორც მხოლოდ თქვენი სასოგარო ჩემს გულში და მეც იმედს შექნება გამხსენებლად თქვენდამი პატივისცემის გრძობით აღსავსე წინაპარს“.

მის. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ეურნალმა „ცისკარმა“ გაიხსნა საქართველოს ისტორიის ეს უანგარო მოამბე, რომლის ნუმიზმატიკური აღწერა, პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის წევრების ფრენის, დონის, ბროსეს და ლანგლუას ნაშრომებზე მაღლა დააყენა, როგორც საფუძვლიანი და საკნის ცოდნით შექმნილი გამოკვლევა. ამ ნაშრომში, — წერს „ცისკარი“, ნათლად არის გარკვეული, რომ „ყოველ ისტორიულ ეპოქაში საქართველოს თავისი საკუთარი ფული ჰქონია“... (1857 წ. № 2).

ამ წიგნის გამოცემის შემდეგ ასევე მეტი წელიწადი გაიდა. სახელოვანი მეცნიერის ნაშრომმა საუკუნის გაუძლო და დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობასა და მეცნიერულ ღირებულებას.

სოლომონ ცაიშვილი



ფართო მასშტაბის სახელსიხების არსებობა სავსებით გასაგებია. აშკარაა, ამ სახელსიხებში მუშაობდნენ სპეციალისტები, რომლებიც სასაქონლო ნაწარმს ამზადებდნენ. ასევე ნათელია, რომ ამ დროისათვის ხელსიხების ცალკე დარგად გამოყოფა, შრომის მეორე დიდი საზოგადოებრივი დანაწილება უკვე განვლილი ეტაპი იყო და რომ თავისი შინაარსით ეს ხელსიხობა იმდროინდელი ქალაქური წარმოების მაუწყებელია (შდრ. სტრატონის ცნობა იბერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ).

ავტორები მერვე თავში განაზოგადებენ მოპოვებულ მასალებს და ასკვნიან, რომ იბერია-ქართლი სახელმწიფოა, მისი მოსახლეობა დანაწილებულია საზოგადოებრივ კლასებად და მის მოეპოვება სავსებით ჩამოყალიბებული სახელმწიფო მმართველობის სისტემა, დამწერლობა და სხვ. ყველაფერი ეს ნათლად ადასტურებს, რომ სტრატონის დროინდელი იბერია გვაროვნული წყობილების საფეხურზე მდგომი ქვეყანა კი არ არის, როგორც ამას ძველად ფიქრობდნენ, არამედ კლასობრივი საზოგადოებაა. აკად. ხ. ჯანაშვილის მიერ წერილობით წყაროებზე დამყარებით გამოთქმული მოსაზრება იბერიის საზოგადოებრივი წყობილების შესახებ, არმაზისტიკის არქეოლოგიურმა გათხრებმა სავსებით გაამართლა. ეს, ამ ნაშრომის სხვა ღირებებთან ერთად ავტორების შესანიშნავი მონაპოვარია ამათ ეს სადავო საკითხი დადებითად არის გადაჭრილი. ამიერიდან იბერიის სამეფოს სოციალურ-ეკონომიური ვითარების სხვაგვარი გაგება ყოველად მიუღებელია.

ამ ტომის გამოცემით დიდად სასარგებლო საქმე გაკეთდა საქართველოს ისტორიის კვლევის დარგში, ახალი ფურცლები გადაიშალა ჩვენი წარსული

ისტორიიდან და ზოგი საკვანძო საკითხი ჯეროვნად გაირკვა. მკითხველთა საზოგადოებრიობა მოუთმენლად მოელის „მცხეთა — არქეოლოგიური შედეგებს“ მომდევნო ტომებს, რათა შრომელთა ფართო მასებისათვის მისაწვდომი გახდეს ის, რაც წარსულში შეუქმნია ხალხს, უშუალო მწარმოებელს.

რაც შეეხება თვით გამოცემას, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ისტორიის ინსტიტუტს, აკადემიის გამოცემლობას, რედაქტორსა და ავტორებს ძალ-ღონე არ დაუზოგავთ იმისთვის, რომ ეს ტომი მასში მოცემული მასალის შესაბამისად მაღალბარისიანი ყოფილიყო. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქი, შრიფტი, ტაბულები, რუკები და სხვა საილუსტრაციო მასალა, ზოგიერთი გამოცემისის გარდა, მაღალ დონეზეა შესრულებული. მდიდრულადაა გამოყენებული ტექნიკური ტერმინოლოგია, ოღონდ შეიძლებაოდა უფრო უსტრუქტირის შერჩევა — გავარსის ნაცვლად — ცვარა, ჰვიროლის ნაცვლად — გრეხილური, ზენურის ნაცვლად ხალხში ხმარებული ტერმინი ზანო (ისევე როგორც „ონო“, „ინო“ — ასოებთან მიმსგავსებული სახელებია). კარაკის „თავსაბურავი“-ს აღსანიშნავად გამოდგებოდა თავაქალი II დაბლა (ლაზური), მისი პარალელი ურარტულ ძეგლებზეც მოიპოვება.

ამ ტომში დასმული საკითხებით არ ამოიწურება არმაზისტიკის გათხრებო მოპოვებული მასალის მნიშვნელობა. უნდა დაისვას და გაირკვეს და ცალკე მონოგრაფიები მიეძღვნას როგ სკვანძო საკითხებს (ხელსიხების დიფერენციაცა და დი მცხეთაში, კულტურის ელემენტების საწყისი ფორმები და სხვ.), რასაც, იმედი ვაქვს, ჩვენი არქეოლოგები სხვა სპეციალისტებთან ერთად შეასრულებენ.



მ აგვისტოს გარემოს ყინვარის ენასთან უფრო-დარაში დაგბანაკდით. ეს ადგილი პამირის საოცრებაა — ტუმ 3100 მეტრის სიმაღლეზე. ასეთ სიმაღლეზე კავკასიონზე არა თუ ტყე, ბალახიც ძლივს ხარობს.

საწყობებისათვის გაფშალეთ დიდი კარები, უფრო მომცრონი — ჩვენ საცხოვრებლად, ავაწყვეთ რადიოსადგური.

4 აგვისტოს უთენია შევუდექით მუშაობას. სტალინბადას, ოშის, ხოროგის და შუა აზიის სხვა ქალაქების მოკლეთაღიანმა გარდაიდგურებმა პირველად გაიგონეს ეთერში ხმა: „მე ვარ გარმაო, მე ვარ რადიო“.

4 აგვისტოს დღის მ საათზე ექსპედიციის მოწინავე ჯგუფმა დატოვა უფრო დარა და გევი ყინვარისაკენ აიღო.

მომემ ტვირთის გამო ორი დღე მივიღოდით, სანამ 3900 მეტრის სიმაღლეს მივადგინდით. აქ, გარემოს ყინვარის კიდესთან, ზედ ყინულვარდნილის პირას, ჩამონაშალ კლდეებზე ბალახით დაფარული პატარა მოედანი ვხახეთ, ეს იყო მწვენი მწიფის უკანასკნელი ნაკეთი ჩვენს გზაზე. აქ მრავალად ცხოვრობს პამირზე, ტან-შანსა და მონილეთში გავრცელებული ცხოველები — თარბავანი, ამიტომ ჩვენმა წინამორბედებმა ამ ადგილს „თარბავანების ბანაკი“ დაარქვეს.

მოედნის პირას ფიქლებიდან აშენებული კოშკურა დგას. ზედ 1953 წელს ამ რაიონში დალუპული მ მთამსვლელების გვარია ამოკვეთილი. მთასვლეური ტრადიციით კოშკურაზე წარწერის წინ გადატეხილი წერაყინია გარდევადი მოადგებული. ვკრეფთ მთის ყვაილებს და კოშკურას ვამკობთ. ყვაილებს შორის მთამსვლელობა სიმბოლო ედელვეისია... უცნაური რამ კია, ედელვეისი ხარობს ალაპში და პამირზე, მაგრამ ის ჯერ არავის უნახავს კავკასიონზე.

7 აგვისტოს კვლავ განვაგრძეთ გზა. ახლა უკვე ბუმბერაზი ყინულვარდნილი გვქონდა დასაძლევია. წინადღეს ბევრი ვუყურეთ დურბინით, მაგრამ დასაძლევითაც ვერ ავუღეთ ალღო, თუ როგორ უნდა გაგვეკვლია გზა ამ ყინულის მთებისა და ნარალეების ხვეულებში. ასიოდ მეტრი შედარებით იოლად გავიარეთ, მაგრამ შემდეგ ყინვარის ქარაფებს გადავადექით. აქ უკვე საშიშია. თოკით გადავებით: თვითუფლ თოკზე სამ-სამი კაცი. ნარალეები გახშირდა. ისინი უკვე რთული ხვეულები ემბიან ერთმანეთს, ზოგჯერ მათზე გადახტომა გვიხდება. თუ ნარალი საკმაოდ ფართოა, მაშინ ვიხსნით ზურგჩანთას და გამორბენით ვაკეთებთ ნახტომს, ზურგჩანთა კი შემდეგ თოკით გადავაქვს.

რამდენჯერმე მეტად ფართე ნარალეებს წავადექით. ისინი ყინვარს მთელს სიგანეზე კვეთენ. ამიტომ მათი შემოვლა შეუძლებელია. თოკით ვეშვებით ნარალეში, შემდეგ კი მეორე კიდზე მოსახერხებელი ამოსასვლელის ძებნაში ნარალის ფსკერზე დავხეტებთ. რამდენჯერმე ყინულის გამოქვაბულებში მოგვხვდით და ლოლუების ტყეში გვიხდებოდა მოძრაობა. ახლა რომ ვიგონებთ მართლაც ზღაპრულად ლამაზ ადგილებში ვიყავით, მაგრამ მაშინ... მაშინ ვის ჰქონდა სილამაზის დარდი. სულ იმის ფიქრში ვიყავით, რომ ჩამონგრეული ყინულის მთების ქვეშ არ მოვყოლილიყავით.

საათები გარბის, დალილობისაგან ისე გვეჩვენება, რომ თითქოს ტვირთი ერთბაშად დამძიმდა, ჩვენ კი უსასრულოდ ვტრიალებთ ნარალთა ხვეულებში, ხან ყინულის მთების კენწეროებზე ავდივართ, ხან ყინულის ფართოდერფენებში მივავიჯებთ, რომელთა კედლები რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეს აღწევს, თოკით ვეშვებით ყინულის შევულ ქარაფებზე და საფეხურების ქრით ისევ ყინვარის ზედაპირზე ამოვდივართ.

მე პეტერ I ქედის წვერებზე დაიხარა, როდესაც ყინულის ჩანჩქერის სათავეს მივადგინეთ.

ჩანჩქერის თავზე თოვლის ველია, ველის იქით კი დღემდე უცნობი სამყარო, სადაც ჯერ აღმინანს ფეხი არ დაუდგამს, კლდეები და ყინვარები, რომელთაც ჭერ აღმინანის თვალი არ მოხვედრია.

ბინდი ახლოვდება, როდესაც გვერდით ქედიდან ჩამონაშალ ქვებზე შევჩერდით. ეს ადგილი მეტად მოხერხებული გვეჩვენა ბანაკისათვის. ზვავებისგან საფხვებით დაცული იყო, არც ქვათაცენის მხრით იყო საშიში. ასეც გადავწყვიტეთ — აქ გავეშალა საიერის ბანაკი, რამდენადაც აღმინანთაგან ჩვენ პირველებმა დავადგეთ ამ მიწას ფეხი პირველმომსვლელთა უფლებით საბანაკო ადგილს „ქართველთა ნაბინავარი“ ვუწოდეთ.

„ქართველთა ნაბინავარი“ ანეროიდი 5000 მეტრს გვიჩვენებდა. ეს მყინვარწვერის სიმაღლეა. უანეროიდოდაც ვგრძნობდით სიმაღლეს. სწრაფად მოძრაობა გვაჭირდა, ვულის ცემა ხშირდებოდა, ძილში ვშოთავადით, სულ გვეხუთებოდა. მაგრამ ეს პირველ დამეს, შემდეგი დამეები იმედი გვქონდა, დაგვიბრუნებდნენ მშვიდ ძილს.

„ქართველთა ნაბინავარი“ გავიყავით: მოიერიშე ჯგუფის წევრები — მ. გვარლიანი (ჯგუფის უფროსი), დ. ოზოლაძე, ი. კახიანი, ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. და ზ. ახვლედიანები, მ. ხერგიანი, ჯ. და ს. გუგავები დაიწყებენ ქედისაკენ გზის გაკვლევას, პროდუქტების ატანას, შუალედ ბანაკების მოწყობას და შეჩვენებთ თავის ორგანიზმს უხედადის ნაკლებობის პირობებში ცხოვრებას. ამასობაში კი მაშველ-დამხმარე ჯგუფი გ. ზურბიანი (ჯგუფის უფროსი), ვ. წიკლაძე, შ. სირბილაძე, ვ. დოლონაძე, თ. ცერცვაძე და ს. გამრეკელი განაგრძობენ პროდუქტების და დამატებითი საქურველის ამოტანას უფრო-დარიდან „ქართველთა ნაბინავარი“.

ექსპედიციის უფროსის მოადგილემ ა. ივანიშვილმა უნდა უზრუნველყოს ექსპედიციის ყველა რგოლის შეთანხმებული და ზუსტი მუშაობა, ამიტომ მას მოუხდება მუდმივი გადაადგილება ყინვარის ტრასის მთელ სიგრძეზე.

ყველაზე უფრო ის გვაწუხებდა, რომ აგვისტოს დასასრულს ახლოვდებოდა და მთავრდებოდა კარგი ამინდებიც. უარი ვთქვით დასვენების დღეებზე. დამხმარე ჯგუფთან ერთად რჩება კინო-ჯგუფიც რეისორ ზ. გულდავძის და ოპერატორების ბ. კრეპსის და ი. ამასიხიკის შემადგენლობით. ამასობაში მოიერიშე ჯგუფმა დაამთავრა შუალედი ბანაკების მოწყობა და ტვირთის გადატანა აკადემიის ქედის თხემზე.

დადგა 15 აგვისტო, დღის მ საათზე დაიწყო იერიში. ტვირთის ქვეშ ოდნავ მოხრილმა ჩვენმა ამხანაგებმა ნელის ნაბიჯით დასტოვეს ბანაკი.

15 აგვისტომ მშვიდად ჩაიარა, მაგრამ 16 აგვისტოს დილიდანვე დასავლეთიდან ცირუსები გამოჩნდნენ — ეს იყო ავდრის უტყუარი ნიშანი ცირუსები მოდიოდნენ მთელი დღის განმავლობაში, საღამოსთვის კი ცირუსებს კუმბრი ღრუბლები მოჰყვა. ქედის თხემებმა თოვლის მანდილები ააფრიალეს — იქ ზევით ძლიერი ქარი დაიწყო.

დამით აღარ იყო ვარსკვლავები, მხოლოდ კვლავინდებურად გრიალებდნენ ზვავები და ხანდახან კენტი ქვა ხმაურობდა გარემოს ყინვარის ნარალეებში.

ყინულის ჩანჩქერში გზა უკვე წინა დღეებში იყო გაკვლეული, საფეხურებიც მზად იყო, ამიტომ მოიერიშენი შედარებით სწრაფად მიიკვლევდნენ გზას. 16 აგვისტოს ჯგუფი უკვე ქედიდან გადმოკიდებულ თოვლ-ყინულის ლავარდანის ქვეშ მოძრაობდა. ლავარდანი თითქოს საიმედო იყო, მაგრამ ვინ იცის, როდესმე ხომ უნდა ჩამონგრეს... არავინ ხმას არ იღებდა. ყველას ყურთანმენა დაძაბულად ეძებდა გამეფებულ სიჩუმეში პირველ ყრუ ტყაცანს — ლავარდანის მოახლოებულ ჩამონგრევის პირველ ნიშანს, მაგრამ ტყაცანი არ ისმოდა, მხოლოდ ყინული ჭრივინებდა წრიაკების ქვეშ.

ცდილობდნენ სწრაფად გასცლოდნენ საშიშ ლავარდანს, მაგრამ როგორც კი აუჩქარეს ფეხს სასუნთქავად ჰაერი შემოაკლდათ. სიმაღლე უკვე 6000 მეტრს ასცდა.

როგორც ექნა დასძლიეს უკანასკნელი შეკიდებული, თითქმის ვერტიკალური ყინულის ფერდი და ჯგუფი თხემზე აღმოჩნდა.

ქარმა მოუხერა, მხოლოდ ახლა შეამჩნიეს, რომ ამინდი გაფუქდა და, როგორც ჩანს, ხანგრძლივი დროით. დაბანაკდნენ, დამშვიდდნენ, აქ არც ჩამოვარდნა შეიძლებოდა და არც ზვავი იყო საშიში.

მთელი დამე როკავდა ხოშაკალა კარვის ფერდებზე და მთელი დამე აყრიდა ქარი კარვებს ანახვეტ თოვლს.

დილით თოვა შეწყდა, მაგრამ ღრუბელთა ქარაფები უწყვეტ რიგად მოედინებოდნენ დასავლეთიდან. დროდადრო ნისლის ფარდებს შორის ჩანდა მოლოტოვის მწვერვალი, რომელიც ზედ ბანაკის თავზე იყო გადმომდგარი.

გაჩერდა უაზრო იყო. ან უნდა წასულიყვნენ წინ, — იერიშზე ან უკან, — „ქართველთა ნაბინავარი“ უშოპედოდ გაჩერება 6000 მეტრის სიმაღლეზე ნიშნავდა ორგანიზმის ისეთ გამოფიტვას, რომ შემდეგ, არა თუ წინ სვლა, უკან დაბრუნებაც კი საეჭვო იქნებოდა.

მ. გვარლიანმა გადაწყვიტა — ევლოთ წინ. სწრაფად გაიარეს თოვლის ველის მონაკვეთი და მოლოტოვის მწვერვლის ფირის ფერდებს შეხვედნენ. დაქნება დიდი იყო. ყინულის უხედაზე სჭრიდნენ საფეხურებს, აჭედებდნენ პალეებს. წინ მავალი სწრაფად იცვლებოდა — ახეთ სიმაღლეზე შეუძლებელია, რომ ერთმა გამოსჭრას ზედიზედ რამდენიმე საფეხური, ან დააქედოს რამდენიმე პალეა.

თხემი სრულდებოდა ქიმით. ეს იყო მოლოტოვის მწვერვლის უმაღლესი წერტილი. საღამოს მ საათზე ჯგუფი მთელი შემადგენლობით იდგა მწვერვალზე, 6333 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამრიგად, აღმინანა პირველად შეიღვა ფეხი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმაღლეს და უძნელებ მწვერვალს.

დამით ავდარი გრძელდებოდა. კვლავ ხეტავდა ქარი თოვლს და აყრიდა კარვებს. 18 აგვისტოს ჯგუფი ავიდა „პრავდის“ მწვერვალზე და შემდეგ ორად გაიყო — დ. ოზოლაძე, ზ. ახვლედიანი, ს. და ჯ. გუგავები დაეშენენ „ქართველთა ნაბინავარისკენ“, ხოლო დანარჩენებმა 19 აგვისტოს გადაინაცვლეს სტალინის პიკის სამხრეთის წიბოსკენ.

ავდარი გრძელდებოდა. ქედები და მწვერვალები თითქმის მთელი დღის განმავლობაში დანისხული იყო. მწვერვალზე ასვლა საეჭვო ხდებოდა ავდრის გამო. წინ წასული ჯგუფი კავშირს კარგავდა „ქართველთა ნაბინავართან“, ხოლო დაბრუნებისას შეეძლო ასცდენოდა გზას და შედრენოს ყინვარის ნარალეებში გადაჩხილიყო.

მ. გვარლიანმა მიიღო გადაწყვეტილება — დარჩეს წიბოს დასაწყისში და უზრუნველყოს ზურგი.

20 აგვისტოს ი. კახიანი, ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. ახვლედიანი და მ. ხერგიანი განაგრძეს გზა. მიდიოდნენ ორი თოკით. თვითუფლ თოკში — ორ-ორი კაცი. ქარი უხერხულად წინაშე იდგოდა სიძლიერით და სუნთქვას კიდევ უფრო აძნელებდა, თითქოს პირიდან აცლიდა ისედაც მცირე ჰაერს. ყინვა ატანდა თბილ სამოსელში, ორგანიზმში წვამ და სითბომ იკლო. საღამოსთვის მიადწინს 7000 მეტრის სიმაღლეს. გაშალეს კარავი, გახვივნენ საძილე ტომრებში და პორტატულ პრიმუსზე გააშლეს მცირე თოვლი, რომ ცოტათი მინც მოეკლათ წყურვილი. ჰაერის წყურვილს კი ვერაფერი მოუხერხეს.

21 აგვისტოს დილით თითქმის გადადარა. მწვერვალს მოიწმინდა, ქარი ნანდებურად აღარ გლიჯდა კარვის ტოტებს. მწვერვალამდე შევეული ხაზით რჩებოდა არა უმეტეს 500 მეტრისა, ის სულ ახლოს ჩანდა, მაგრამ ამ 500 მეტრის დაძლევა უფრო ძნელი იყო, ვინემ მთელი აქამდე გამოვლილი გზა.

დაიწყო იერიშის უკანასკნელი ეტაპი, ილეოდნენ იერიშის უკანასკნელი საათები.

დასავლეთიდან გარემოს ხეობას კვლავ გამოჰყვა ღრუბლების ქარაფანი, დღის ორ საათზე ქარაფებს მოადგა და დაფარა მწვერვალები. სტალინის მწვერვალი კი სულ ახლოს იყო.

უკანასკნელი უბანი, ყინულით შებოჭილი კლდეები და დიდი დაქნება, რომელიც ქარაფებისკენ ეშვება. იჭრება საფეხურები, წერაყინი თითქოს ზარის რეკავს ყინულთან ყოველ შეხებისას. ფერდი გაავკა. ოთხივენი იდგნენ თოვლისკენ გადახვეტილ პატარა მოედანზე.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი წერტილი მიდწეულია.

*
* *

ყველანი ერთად ვბრუნდებით უფრო-დარაში. გვილოცავენ გამარჯვებას ჩვენი მეპარაფენი — ავღანი, ჯორაყული, გაზი, დილშოდი... გამოვლიეთ გარემოს ხეობა, ხინგოლუ და ყიშლაქ ხიფშონთან აღმინანთა სადგომებს მივადგინეთ.

მეგვხედნენ ტაჯიკები, მოგვილოცეს, ბანზე მიგვიწვიეს... მოგვხედნენ ქოქ-ჩაი და დუკლუნში გამოცხვარი ჩაფოთი და ფატორი. გაზიმ დიტორი აიღო ხელში და ბაიათის მანგზე დაამღრა მისივე შეთხზული ლექსი თუ როგორ დაიპყრეს ქართველმა მთამსვლელებმა გარემოს მწვერვალები.

მთავარ ეკიდა მოინადუს ქედის წვერებზე. ელვარებდა დამეში დარვაზის ქედი. ნათელი ებრძოდა დამეს ობინიგოუს ხეობაში. კენტი ქვა ხმაურობდა ალბათ. მღლდაც შორს გარემოს ყინვარის ნარალეებში.

6.9.75



ეროვნული
ბიბლიოთეკა

